ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## „გაზპრომის შემოყვანით ხელისუფლება ცდილობს, სოკარს ფასი დააგდებინოს“

გვ.6



ხუთშაბათი, 14 იანვარი, 2016 №10 (6936) ფასი: 50 თეთრი

# გია ხუხაშვილი: „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში აღარ არის“



გვ.2

„ქვეყანას კოლექტიური მურუსიძე მართავს“

## „კოალიციას საკუთარი უსუსურობა აერთიანებს“

## მიხეილ მაჭავარიანი: „საქართველოს ენერგოსისტემის ხელში ჩაგდება ივანიშვილს უნდა“

გვ.3



რა მესიჯი მოვიდა აზერბაიჯანიდან

## „ქართულ ოცნებას“ ორი პარტია ემატება

გვ.4





„არამარტო სოციალ-დემოკრატები, მწვანეთა პარტიასაც გარკვეული მოსაზრებები აქვს და ბევრი სხვა პარტია იქნება, რომელთაც აქტიურად ჩართვის სურვილი ექნებათ“.



გვ.3

## მაირ მამედოვი: „საქართველოს დამატებითი გაზი შეიძლება შაჰდენიზი 1-დან მიეწოდოს“

## ვის დააზარალებს სოკართან ურთიერთობების გაწყვეტა?

გვ.6

SOCAR

ISSN 1987-9385



## „თინა ხიდაშელის მინისტრობის დროს ნატოსთან ყველაზე ინტენსიური ურთიერთობა გვაქვს“

გვ.5



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გია ხუხაშვილი: „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში აღარ არის“

ნონა ცაბაძე

**კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ წინასაარჩევნოდ მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრა.**

– კოალიციაში ფუნდამენტური მსოფლმხედველური განსხვავებებია თვითონ პარტიებს შორის. რესპუბლიკური პარტია თავისი ფუნდამენტური პრინციპებით, მოღვაწეობით, ძალიან შორს დგას „ქართული ოცნების“ უდიდეს ნაწილთან, – აცხადებს ექსპერტი.

***– და ამ პრობლემამ არჩევნების წინ იჩინა თავი?***

– რესპუბლიკურ პარტიას აქვს განცდა, რომ მისი როლი კოალიციის მართვაში არის საკმაოდ მაღალი.

***– რაში გამოიხატება ამ როლის სიმაღლე?***

– იგივე კვალიფიკაციით, კომპეტენციით და, ბუნებრივია, მათ უჩნდებათ იმის პრეტენზია, რომ ძალაუფლების მეტი წილი მიიღონ, ვიდრე ეს უბრალო არითმეტიკული კვოტირებით შეიძლება მოხდეს. ამას ბუნებრივად ეწინააღმდეგება კოალიციის დანარჩენი ნაწილი. აი, ამ პროცესს ვაკვირდებით ახლა. ეს პრობლემა მეტნაკლები ინტენსივობით მუდმივად არსებობს, მაგრამ არჩევნების წინ განსაკუთრებით მწვავდება.

***– ზედმეტი ამბიცია ხომ არ აქვთ რესპუბლიკელებს?***

– ნამდვილად ზედმეტი აქვთ. პარტიას, პირველ რიგში, სჭირდება



## „კოალიციას საკუთარი უსუსურობა აერთიანებს“

საზოგადოებრივი ლეგიტიმაცია, რაც რესპუბლიკურ პარტიას არ აქვს საზოგადოებაში. ფაქტია, რომ ამ პარტიას საარჩევნო მხარდაჭერა არა აქვს.

***– სხვა პარტიებს?***

– არც სხვა პარტიებს აქვთ კარგი მდგომარეობა. კოალიციაში შემავალი არც ერთი სუბიექტი არ არის ლეგიტიმური. ცალკე აღებული პარტია „ქართული ოცნებაც“ კი ვერ ლახავს საარჩევნო ბარიერს, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ. ყველანი ისინი ამხედრებულები არიან ბიძინა ივანიშვილის მხრებზე.

***– ანუ მთავარ როლს კვლავ ბიძინა ივანიშვილი ასრულებს?***

– რა თქმა უნდა, ეს ხომ ბუნებრივია. თქვენ წარმოიდგინეთ კოალიცია ივანიშვილის გარეშე, დისტანცირებული მისგან. არც ერთ პარტიას არანაირი საარჩევნო პერსპექტივა არ ექნება. „ქართული ოცნება“ მთლიანად პარაზიტირებს ბიძინა ივანიშვილის მხრებზე.

***– აქედან მომდინარეობს ეს არაფორმალური მმართველობაც?***

– ის პრეტენზიები, რომ ჩრდილოვანი მმართველობაა და ასე შემდეგ, ეს არ არის ბიძინა ივანიშვილის არჩევანი.

***– აბა ვისი არჩევანია?***

– ეს არის ის მოცემულობა, რომ-

## „ქვეყანას კოლექტიური მურუსიძე მართავს“

ელშიც ჩვენ გვიწევს ცხოვრება. რომ არ იყოს ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა? ბევრად უარესი იქნებოდა! იმიტომ, რომ ეს გახდებოდა არასტაბილურობის გარანტი. ერთი მხრივ, ჩრდილოვანი გავლენა არის ცუდი, მაგრამ ამის ალტერნატივა არის უარესი. ასეთი არაჯანსაღი ვითარებაა ქვეყანაში.

***– სიების შედგენა ივანიშვილის ერთპიროვნული გადაწყვეტილება იქნება?***

– არა მგონია. ივანიშვილის სტილი ეს არ არის, ის აუცილებლად შეეცდება, არგუმენტირებული იყოს ნებისმიერი ნაბიჯი ამ კუთხით. ეს კონსულტაციების შედეგად მოხდება და უფრო არგუმენტებით იქნება საუბარი ამ პროცესში. ივანიშვილს აქვს კარგი უნარი ამ პროცესის მოდერაციის. თუმცა დღეს ამ პროცესის მოდერაცია უფრო რთული იქნება, ვიდრე წინასაარჩევნოდ იყო 2012-ში. მაშინ გადიოდა ფრონტის ხაზი – ყველა ვიღაცის წინააღმდეგ. ანუ ამოცანა იყო ნეგატიური.

***– დღეს რა იქნება?***

– ხელისუფლებას ჩვენ ვირჩევთ არა იმისთვის, რომ ვიღაცას ებრძოლოს, არამედ იმისთვის, რომ ქვეყანა ააშენოს. ეს კოალიციური ეკლექტიკა და შიდა იწილო-ბიწილო მარტო პოლიტიკურ პროცესს კი არ აზიანებს, სახელმწიფოს აზიანებს.

***– კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– როგორ შეიძლება ქვეყანა მართოს პოლიტიკოსთა ჯგუფმა, რომლებსაც დაპირისპირებული მსოფლმხედველობა აქვთ?! როგორ შეიძლება მათ მიიღონ როდისმე რაიმე გადაწყვეტილება, ან საერთოდ მიიღონ და ის ქვეყნისთვის სასარგებლო იყოს?! როგორ შეიძლება ერთ მაგიდასთან წყვეტდნენ საკითხებს, მაგალითად, მრეწველები და რესპუბლიკელები. მათ შორის ფუნდამენტური სხვაობებია რიგ საკითხებზე. საბოლოო ჯამში, ეს არაჯანსაღი ვითარება აზიანებს ქართულ სახელმწიფოს.

***– არის შანსები, რომ როგორც რესპუბლიკელები, ისე მრეწველები კოალიციის მიღმა აღმოჩნდნენ?***

– ყველაფერი შესაძლებელია. რა არის კოალიციის გამაერთიანებელი ცემენტი? მათი გამაერთიანებელი აგრეთვე ნეგატიურია და ეს არის საკუთარი უსუსურობის განცდა! ის, რაც ამ პოლიტიკურ სუბიექტებს კოალიციიდან გასვლის საშუალებს არ აძლევს, არის საკუთარი უსუსურობის განცდა. ყველა დარწმუნებულია, რომ თუ ისინი ჩამოდიან ბიძინა ივანიშვილის მხრებიდან, ანუ გადიან კოალიციიდან, მათ არა აქვთ პოლიტიკური პერსპექტივა.

***– და ეს აერთიანებთ?***

– სწორედ ეს. სააკაშვილის რეჟიმის დროს, მის გუნდშიც იყო დაპირისპირებები, მაგრამ იქ შემაკავშირებელი ცემენტი იყო საერთო დანაშაული. მათ აერთიანებდათ დანაშაულში თანამონაწილეობა. დღევანდელ ხელისუფლებას კი აერთიანებს უსუსურობა. ეს არის ამ ქვეყნის უბედურება, რომ

გაგრძელება მე-4 გვერდზე



# მანანა კობახიძე: „რუსთავი-2-ის მაუწყებლობას საფრთხე არ ემუქრება“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მანანა კობახიძე აცხადებს, რომ სამაუწყებლო კომპანია რუსთავი-2-ის მაუწყებლობას არავითარი საფრთხე არ ემუქრება. იგი ტელეკომპანიის საქმესთან დაკავშირებით ევროსაბჭოს კომისიის დასკვნას გამოეხმაურა.

კერძოდ, ევროსაბჭოს კომისია საქართველოს ხელისუფლებას სასამართლო სისტემის გაუმჯობესებისკენ მოუწოდებს. ანგარიშში მოხვდა რუსთავი-2-ის საქმეზე დაწყებული სასამართლო პროცესიც, რომელსაც კრიტიკული შენიშვნები მოჰყვა.

მანანა კობახიძის თქმით, რუსთავი-2 ჩვეულ რეჟიმში მაუწყებლობს.

– რუსთავი-2-ის საქმე ყურადღების საგანი იყო და ეს ბუნებრივი იყო, მაგრამ მნიშვნელოვანია, როგორ ხდება მოვლენების განვითარება. თუ ჩვენს პარტნიორებს თავიდან რაიმე კითხვის ნიშანი ჰქონდათ, ესეც ბუნებრივი და ლოგიკური იყო. ეს საკითხი დღეს ამოწურულია, იქიდან გამომდინარე, რომ რუსთავი-2-ის მაუწყებლობას, სამაუწყებლო კომპანიაში მართვის პროცესს არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ტელეკომპანია ჩვეულებრივ რეჟიმში მაუწყებლობს, -– განაცხადა მანანა კობახიძემ.

**მედიანიუსი**



# ირაკლი შოთაძე გახმაურებულ საქმეებზე თებერვალში ისაუბრებს

მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის განცხადებით, ის გახმაურებული საქმეების გამოძიების შესახებ თებერვალში, ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს დეტალურად ისაუბრებს.

ირაკლი შოთაძემ ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, წლის შეჯამება დეტალური და ამომწურავი იქნება.

– მე მინდა ყველას მოთმინებისკენ მოგიწოდოთ. ჩვენ ჩვენს დანაპირებს შევასრულებთ და თითოეულ საქმეზე საზოგადოებას მივაწვდით დეტალურ ინფორმაციას. ასევე, თებერვლის დასაწყისში ჟურნალისტებთან ერთად მიღებას გავმართავთ, სადაც თქვენს წინაშე წარვდგებით და მოგახსენებთ 2015 წლის პროკურატურის დეტალურ ანალიზს და იმ შედეგების შესახებ, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

**ნიუსპრესი**

# სახალხო დამცველი „ტაბულას“ ჟურნალისტებზე თავდასხმას გმობს

სახალხო დამცველის აპარატის განცხადებით, 2015 წლის 12 იანვარს, ღამით ტელეკომპანია „ტაბულას“ ჟურნალისტებს ირაკლი კიკნაველიძეს, ნინო მაჭარაშვილს, ლევან სუთიძესა და „ტაბულას“ ყოფილ თანამშრომელს ავთო ქორიძეს რესტორანში სამი პირი დაესხა თავს, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაამტვრიეს ინვენტარი და მიიმალნენ.

ჟურნალისტების განმარტებით, თავდამსხმელები ამის მიზეზად მათ პროფესიულ საქმიანობას და მათი მხრიდან მართლმადიდებლური ეკლესიის კრიტიკას ასახელებდნენ. როგორც ცნობილია, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით, რომელიც ცემას გულისხმობს.

სახალხო დამცველი გმობს ყველანაირ ძალადობას და მათ შორის, განსაკუთრებით საგანგაშოა ძალადო-



ბა ჟურნალისტების მიმართ, მათი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე. განუზომელია გამოხატვის თავისუფლებისა და თავისუფალი მედიის როლი ინკლუზიური, ინფორმირებული საზოგადოებებისა და დემოკრატიის მშენებლობაში, ჯეროვანი მმართველობის დამკვიდრებაში. აუცილებელია ზემოაღნიშნულ ფაქტზე ჩატარდეს დროული და ეფექტური გამოძიება, ხოლო დამნაშავე პირები ადეკვატურად დაისაჯონ.

თავდამსხმელებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მნიშვნელოვანი ფაქტორია მომავალში ძალადობის განმეორების თავიდან ასაცილებლად. გამოძიების მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სიძულვილის მოტივის სათანადოდ შეფასებაზე. საქართველოს სახალხო დამცველი უშუალოდ მიადევნებს თვალს გამოძიების მიმდინარეობას და შესაბამის ინფორმაციას საზოგადოებას პერიოდულად მიაწვდის.

**ნიუსპრესი**

# პრეზიდენტი პარლამენტში წლიური ანგარიშით თებერვალში წარდგება



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პარლამენტში წლიური ანგარიშით, საგაზაფხულო სესიაზე, თებერვლის თვეში წარდგება.

საგაზაფხულო სესია თებერვლის პირველ სამშაბათს, მიმდინარე წლის 2 თებერვალს იხსნება.

დეტალები და კონკრეტული თარიღი პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დაზუსტდება. ფორმატზე კონსულტაციები პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან გაიმართება.

**ნიუსპრესი**

# მიხეილ ჯანელიძე უნგრეთის ელჩს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ საქართველოში უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან შანდორ საბოსთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე სხვა საკითხებთან ერთად ახლო მომავალში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბუდაპეშტში ვიზიტის განხორციელების შესაძლებლობა განიხილეს.

ასევე, ყურადღება გამახვილდა ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების პერსპექტივებზე, ამ მიმართულებით ხაზი გაესვა ორმხრივი ინვესტიციებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების გააქტიურების აუცილებლობას.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მიხეილ მაჭავარიანი: „საქართველოს ენერგოსისტემის ხელში ჩაგდება ივანიშვილს უნდა“

შორენა მარსაგიშვილი

გადასცეს თუ არა ნაციონალებმა სტრატეგიული ობიექტები რუსეთს, რა კავშირი აქვს ივანიშვილს გაზპრომთან, რატომ არ მიდის პარლამენტში კახა კალაძე, რა ზომების მიღებას აპირებს ყოფილი ხელისუფლება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი ესაუბრება.

***– ნაციონალურმა მოძრაობამ გაზპრომთან წარმოებული მოლაპარაკებების გამო „ქართული ოცნება“ დაგმეთ, მეოცნებეთა თქმით კი, თქვენ ამის უფლება არ გაქვთ, იმიტომ, რომ მთელი რიგი სტრატეგიული ობიექტები თავად გადაეცით რუსეთს.***

– რომელი სტრატეგიული ობიექტი გადავეცით რუსეთს ან რა თემაზე ვაწარმოეთ ფარულად მოლაპარაკებები? იმის მაგივრად, რომ არგუმენტები წარმოადგინონ, რაღაცებს გვაბრალებენ. ასეთია ქოცური ლოგიკა.

ყველაზე მეტს ენგურჰესზე ლაპარაკობენ. ჩვენ ის არავისთვის არ გადაგვიცია და არც მის გარშემო გვიწარმოებია ოკუპანტთან ფარული მოლაპარაკებები.

***– ფარული არა, მაგრამ მოლაპარაკებები ხომ დაიწყეთ?***

– სხვა გამოსავალი არ იყო. ენგურჰესის ამბავში ოკუპანტებზე ვართ დამოკიდებული. ჰესის სამართავი ფარი, საიდანაც ელექტროენერგია მოგვეწოდება, აფხაზეთის ტერიტორიაზეა. ეს ტერიტორია კი რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. ასე რომ, მათთან ამ თემაზე დალაპარაკება საჭირო იყო. თავად კალაძემ აღიარა, რომ ამ თემაზე რუსეთთან შეთანხმება არ გაგვიფორმებია.

***– სად და როდის აღიარა ეს?***

– მინისტრად რომ დაინიშნა. ჩემი თუ არ გჯერათ, დაგუგლეთ და ნახავთ, რომ კალაძე ამბობს, არანაირი შეთანხმება არ ყოფილაო. მოლაპარაკება კი აუცილებელი იყო. ჩვენ გვინდოდა, რომ ამ საქმეში საქართველოსა და რუსეთს შორის ყოფილიყო ოფიციალური ურთიერთობა.

როდესაც გვჭირდება ელექტროენერგია, რუსეთისგან ვყიდულობთ. როცა ჭარბად გვაქვს, იქეთ ვაწვდით. ენერგოსისტემა ისეთია, რომ ის ჩაკეტილი არ იქნება. ამ ამბავში აფხაზეთი მთლიანად ამოვარდნილია. მათ ისე მიაქვთ ჩვენგან ელექტრონერგია, რომ არც კი გველაპარაკებიან. გვინდოდა, რომ ამისთვის ბოლო მოგვეღო. რუსეთთან მოლაპარაკებით ეს დადგინდებოდა. გაფორმდებოდა ხელშეკრულება და გვეცოდინებოდა, რამდენს წაიღებდნენ აფხაზები.

***– ამას, ვთქვათ, აფხაზების ამოსაგდებად აკეთებდით, რაოიესზე რას იტყვით?***

– რაოიესთან საერთოდ არაფერ შუაში ვართ. თელასი გაიყიდა შევარდნაძის ხელისუფლების დროს. რაოიესმა თელასი მანამდე იყიდა, სანამ ჩვენ ხელისუფლებაში მოვიდოდით.

***– თბილისის წყალიც შევარდნაძის დროს გაიყიდა?***

– ჯორჯიან ვოთერ ფაუერი ოფიციალურად არის შვეიცარიული კომპანია და ის შვეიცარიული კანონმდებლობით მოქმედებს. აქედან გამომდინარე მნიშვნელობა არა აქვს, მისი აქციონერი რუსია თუ თურქმენი.

***– ენერგო პროზე რას გვეტყვით?***

– ეს არის 100%-იანი ჩეხური კომპანია და მორჩნენ ეს ქოცები ამ თემაზე ლაპარაკს. ყველაფერზე რომ ჩვენსკენ იშვერენ ხელს, სირცხვილია. ამათგან განსხვავებით, ჩვენ ქვეყანას ენერგოდამოუკიდებლობა მოვუტანეთ. ჩვენ მიერ წარმოებული სწორი პოლიტიკის შედეგად აღარ ვიყავით ენერგოდეფიციტურები და იქეთ ვყიდდით ელექტროენერგიას. ახლა კი რუსული სახელმწიფო კომპანია შემოჰყავთ და ენერგოდამოუკიდებლობას გვაკარგვინებენ. თან ამის აუცილებლობაზე ის პირები გველაპარაკებიან, რომლებმაც თავის დროზე საქართველო სიბნელეში აცხოვრეს. შევარდნაძის დროინდელი მინისტრები წესით უნდა გახსოვდეთ.

***– როგორ არ მახსოვს, ერთ-ერთი მათგანი თქვენც ხართ.***

– კაცოოო, ენერგეტიკის მინისტრებზე გეკითხებით, მე საგადასახადო შემოსავლების მინისტრის პოსტი მეკავა და მშვენივრად ვაკეთებდი ჩემს საქმეს. ასე რომ, ჩვენსკენ ხელის გამოშვერას თავი დაანებონ და თავის უნიათობას მიხედონ.

***– მოდით, ისევ ნაციონალების მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებზე ვისაუბროთ. ამ ავადსახსენებელ გაზპრომთან ხელშეკრულება მაშინაც გაფორმდა, როცა ნაციონალები იყავით ხელისუფლებაში.***

– ახლა გაირკვა, რომ გაზპრომთან ჩვენ ყველაზე მაგარი ხელშეკრულება გაგვიფორმებია. ამ შეთანხმების თანახმად, გაზის ტრანზიტიდან საქართველოს რჩება ბუნებრივი აირი. ახლა გაზპრომი ფულის გადახდაზე ალაპარაკდა.

***– გამოდის, რომ მოლაპარაკება დანაშაული არ ყოფილა?***

– ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ გაზპრომთან დალაპარაკება არ შეიძლება, ჩვენ იმ კითხვებზე გვინდა პასუხების მიღება, რაც ქოცების მიერ გავრცელებულ ტყუილებს მოჰყვა. მოლაპარაკებები საიდუმლო შეხვედრებით დაიწყეს და ამტკიცებდნენ, არაფერი არ ხდებაო. მერე თქვეს, დივერსიფიკაციააო, მერე დივერსიფიკაცია რა შუაშიაო. სულ ახალ-ახალი ვერსიები გვესმის.

ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კალაძე სახელმწიფო ინტერესებს ღალატობს და საქართველოს ენერგოსისტემას ხელში უგდებს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც, თავის მხრივ, გაზპრომის ერთ-ერთი მსხვილი აქციონერია.

გაზპრომის გამო ზურგს ვაქცევთ ჩვენს მეგობარ აზერბაიჯანს, რომელიც ყველაზე მძიმე პერიოდში დაგვიდგა გვერდით და იმ დროისთვის ყველაზე იაფად მოგვაწოდა ბუნებრივი აირი. ეს კონტრაქტი სააკაშვილსა და ალიევს შორის გაფორმდა, რომლის საფუძველზეც დღემდე შეღავათიან ფასად მოგვეწოდება ბუნებრივი აირი. კალაძე კიდევ გამოვიდა და თქვა, რუსეთი უკეთეს პირობებს გვთავაზობსო.

***– იქნებ გვთავაზობს.***

– მერე სად არის ეს უკეთესი პირობები? ასეც რომ იყოს, სიფრთხილე არ უნდა გამოიჩინონ ოკუპანტი ქვეყნის მიმართ? დღეს მთელი მსოფლიო, მათ შორის თურქეთი, უკრაინა, გერმანია ცდილობენ, გაზპრომის დამოკიდებულებიდან გამოვიდნენ. საქართველო მაშინ ხდება ამ კომპანიაზე დამოკიდებული, როდესაც სამშვიდობოს ვიყავით გასული.

რაც შეეხება უკეთეს პირობებს, 190 დოლარი ბევრად ნაკლებია, ვიდრე 210. გარდა იმისა, რომ გვატყუებენ, მოსახლეობას უარეს პირობებს სთავაზობენ. ამიტომაც ვითხოვთ, რომ ენერგეტიკის მინისტრი პარლამენტში მოვიდეს. 12 იანვარს რომ გამართა რაღაც შეხვედრა და იქ დასასწრები ხალხი თავად შეარჩია, ჩვენ, დეპუტატები, რატომ არ მიგვიწვია? ეს არის საკითხისადმი ქოცური მიდგომა.

ეს ხელისუფლება არის ჩმორების ხელისუფლება. ამიტომაც არის, რომ გაზპრომი მათ უპრობლემოდ აჩმორებს.

***– რას ჰქვია აჩმორებს?***

– პირდაპირ ეუბნება, ტრანზიტის სანაცვლოდ გაზს კი არ მოგცემთ, არამედ ფული წაიღეთო. დღეს გაზის ფასი დავარდნილია და ამიტომ არ უნდათ, რომ დაგვიტოვონ. პუტინის მიერ მართული კომპანია ამდენს იმიტომ ბედავს, რომ იცის, „ქართული ოცნება“ არაფრის გამკეთებელი არ არის, როგორც კი რუსეთს გაიგონებენ, მაშინვე უკანა თათებზე დგებიან.

გამოხვალ, იტყვი სიმართლეს და ეგრევე გამოვარდება ენერგეტიკის მინისტრი. ვინც მას არ ეთანხმება, ყველას არაპროფესიონალიზმში სდებს ბრალს. ეგ საერთოდ ვის პროფესიონალიზმზე მელაპარაკება, ბიჭო, ერთი ფეხბურთის თამაში იცოდა და 2 ავტოგოლი კი გლიჯა საქართველოს ნაკრების კარში.

***– მაგაზე თქვა, ეგეთი რამე პროფესიონალებს ემართებაო.***

– აბა ბიჭო, ის 2 ავტოგოლი ჯანდაბას, ის წაგებაც მეწყინა, მაგრამ ახლა უარესს აკეთებს. უნდა, რომ თამაში სახელმწიფოს წააგებინოს, თან ნაგლად გვეუბნება, ეს უნდა წაგაგებინოთო.

***– მაგის ავტოგოლები იქეთ იყოს და სოკარი-ნაციონალების კავშირზე რას იტყვით? ამბობენ, რომ აზერბაიჯანული კომპანია თქვენს პარტიას აფინანსებს.***

გაგრძელება მე-5 გვერდზე





## რა მესიჯი მოვიდა აზერბაიჯანიდან

# მაირ მამედოვი: „საქართველოს დამატებითი გაზი შეიძლება შაჰდენიზი 1-დან მიეწოდოს“



სოკარ ჯორჯიას ხელმძღვანელი, მაირ მამედოვი არ გამორიცხავს, რომ საქართველოსთვის დამატებითი მოცულობის გაზის მიწოდება შაჰდენიზი 1-ის გაზსადენიდან მოხდეს.

ამის შესახებ მან ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ გიორგი კვირიკაშვილსა და ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

მისივე თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ სოკარი არის აღნიშნული მილის კომერციული ოპერატორი, ამის შესაძლებლობა არის.

როგორც მამედოვმა აღნიშნა, შეხვედრაზე ძირითადად განიხილეს ბუნებრივი აირის მიწოდების ტექნიკური შესაძლებლობები პიკურ პერიოდში.

– ჩვენ მოხარულები ვართ ამ შეხვედრით. ეს არის ჩვენი პირველი შეხვედრა ახალი წლის შემდეგ და პირველი შეხვედრა გიორგი კვირიკაშვილთან პრემიერის რანგში. ორივე მხრიდან შეხვედრას მაღალი წარმომადგენლობა ესწრებოდა, მათ შორის იყვნენ სოკარის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი. ძირითადად განვიხილეთ გაზის მიწოდების ტექნიკური შესაძლებლობები პიკურ, ზამთრის პერიოდში.

ზამთარში მოხმარება იმატებს, თუმცა ეს პროგნოზირებადია. ძირითადად განვიხილეთ, შექმნილი დეფიციტის შევსება როგორი ტექნიკური გზით შეიძლება. შევთანხმდით, რომ ამ მიმართულებით ჩვენი ექსპერტები ერთობლივად იმუშავებენ, – განაცხადა მამედოვმა.

**ბიპიენი**

# მეჭიაური: „რუსეთისგან ტრანზიტული გაზის 10%-ის ფულით შეცვლა ზიანს მოგვიტანს“

– რუსეთის მიერ სომხეთისთვის მიწოდებული ტრანზიტული გაზის 10%-ის ფინანსური ანაზღაურებით შეცვლა საქართველოსთვის ზიანის მომტანია.

ამის შესახებ გუშინ, 13 იანვარს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ მეჭიაურმა განაცხადა, რომელიც 12 იანვარს ენერგეტიკის სამინისტროში გამართულ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდა.

მეჭიაურის შეფასებით, შეხვედრის მონაწილეებმა ყველა თემაზე ამომწურავი პასუხი მიიღეს. მისივე თქმით, მოლაპარაკებები ემსახურება იმას, რომ საქართველოს გაზმომარაგებაში პრობლემა არ შეიქმნას.

– ყოველწლიურად ხდება იმ ხელშეკრულების განახლება, რომელიც გაზპრომთან ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს დაიდო. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენი ტერიტორიის გავლით სომხეთისთვის მიწოდებული გაზი ერთი მხრივ იცვლება რაოდენობრივად, მეორე მხრივ, ხდება ფასის ცვლილება და ასე შემდეგ, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

დეპუტატი ამბობს, რომ რუსეთმა მოითხოვა ტრანსპორტირების საფასურის გადახდა ფულად გამოსახულებაში და არა ნატურით, რაც ჩვენთვის ზიანის მომტანია.

– ეს პირობა უკრაინასაც შეუცვალეს, მაგრამ უკრაინის ტერიტორია დიდია, ტრანსპორტირების სიდიდეც მეტია და ამაში მეტს აიღებენ. საქართველოს ტერიტორიის იმ მანძილით კი, სადაც სომხეთისთვის გაზის გატარება ხდება, თუ საერთაშორისო ფასს ავიღებთ, აღმოჩნდება, რომ გაცილებით ნაკლებს მივიღებთ ფინანსური სახით, ვიდრე ვიღებთ ახლა, როცა ხდება ტრანსპორტირებული გაზის 10%-ით ანაზღაურება, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

დეპუტატი იმასაც ამბობს, რომ ბუნებრივი აირის იმ დეფიციტის შევსება, რომელიც საქართველოს ზამთრის პერიოდში წარმოეშვება, აზერბაიჯანიდან ვერ ხერხდება და ფაქტობრივად წინსწრე-



ბით გვაქვს წამოღებული რუსეთიდან ჩვენს ტერიტორიაზე გადაადგილებული გაზის საფასური.

– დეფიციტის დაფარვა, რომელიც საქართველოს ზამთრის სეზონში წარმოეშვება, აზერბაიჯანიდან ზამთარში ვერ ხერხდებოდა, ხოლო ზაფხულში გაზის გაზრდილი რაოდენობის მოწოდება ამის კომპენსაციას ვერ გააკეთებს.

ამასთან, ჩვენ ჯერ არ გვაქვს გაზის საცავი, რომლის აშენებასაც საქართველო აპირებს, რათა ასეთი სიტუაციები თავიდან ავიცილოთ. ფაქტობრივად, ჩვენ წინსწრებით გვაქვს წამოღებული რუსეთიდან ჩვენს ტერიტორიაზე გადაადგილებული გაზის საფასური, – აცხადებს თამაზ მეჭიაური.

**ბიპიენი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ქართულ ოცნებას“ ორი პარტია ემატება

შორენა მარსაგიშვილი

**ექსპერტების ნაწილი საარჩევნოდ კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლას ვარაუდობს, რადგან საარჩევნო სიაში კვოტების გადანაწილებას აუცილებლად მოჰყვება დაპირისპირება, რამაც შესაძლოა კოალიციიდან რამდენიმე სუბიექტის წასვლა გამოიწვიოს.**

**კოალიციიდან წამსვლელები ჯერ არ გამოკვეთილან, სამაგიეროდ, ცნობილი გახდა, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ რამდენიმე პარტია დაემატება. საუბარია მწვანეებსა და სოციალ-დემოკრატებზე.**

ორივე პარტიის წარმომადგენელი ისედაც არის „ქართულ ოცნებაში“, ოღონდ ისინი ინდივიდუალურად არიან წარმოდგენილი. საუბარია მწვანეების ლიდერ გია გაჩეჩილაძესა და ქვეყნის მთავარ სოციალ-დემოკრატ გია ჟორჟოლიანზე.

არადა, აქამდე საუბრობდნენ, რომ მომავალ საარჩევნო სიაში არც ერთი მათგანი აღარ მოხვდებოდა. გია გაჩეჩილაძემ თავად დატოვა პროტესტის ნიშნად უმრავლესობა, ჟორჟოლიანს კი ვილაცებთან ჰქონდა პრობლემები.

ეტყობა, მან და გაჩეჩილაძემ ეს პრობლემები მოაგვარეს, ანდა ბიძინა ივანიშვილი დარწმუნდა, რომ ისინი კოალიციას სჭირდება.

საპარლამენტო უმრავლესობაში უკვე ღიად საუბრობენ ახალი სუბიექტების მიღებაზე. ამას არც მწვანეთა პარტიის ლიდერი გია გაჩეჩილაძე უარყოფს.



ჟურნალისტებთან საუბარში გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ ამ საკითხზე მწვანეთა პარტიაში კონსულტაციები იმართება.

კოალიციაში გაერთიანების შემთხვევაში საპარლამენტო არჩევნებზე გია გაჩეჩილაძის პარტიას, სავარაუდოდ, მაჟორიტარებიც ეყოლება.

კოალიციაში შესვლას გეგმავს სოციალ-დემოკრატიული პარტიაც, რომლის თავმჯდომარე, გია ჟორჟოლიანი, უმრავლესობის წევრია. მაჟორიტარების კვოტას მასაც გამოუყოფენ.

კოალიციაში უკვე შესული პარტიები ამ ამბით დიდად არ არიან გახარებული. კვოტების გადანაწილება ისედაც უჭირდათ, ახლა მთლად გართულდება საქმე.

ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ შესაძლოა მმართველ გუნდს კიდევ რამდენიმე სუბიექტი დაემატოს. ამ მიმართულებით ყველაზე ხშირად თავისუფალ დემოკრატებს მოიხსენიებენ.

რამდენჯერმე „გირჩებიც“ ახსენეს, მაგრამ ეს ორივე მხარემ კატეგორიულად უარყო.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, გია ვოლსკის განცხადებით კი, ბევრი სხვა პარტია იქნება, რომლებსაც კოალიციაში აქტიურად ჩართვის სურვილი აქვთ.

– ამასთან დაკავშირებით ყოველგვარი მკითხაობა მხოლოდ აჟიოტაჟს იწვევს, რომელსაც არც საფუძველი არ აქვს და ხშირ შემთხვევაში რეალურ ვითარებას უპირისპირდება. არა მარტო „სოციალ-დემოკრატები“, „მწვანეთა პარტიასაც“ გარკვეული მოსაზრებები აქვს და ბევრი სხვა პარტია იქნება, რომელსაც აქტიურად ჩართვის სურვილი აქვს, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

დამატებითი ძალების მიღების გარდა, კოალიციაში რამდენიმე სუბიექტის წასვლაზეც საუბრობენ. წამსვლელთა სიაში მრეწველებიც ფიგურირებენ. ისინი თავიანთი მკვეთრად გამოხატული პრორუსული და ანტინატოური პოზიციით ევროპულობაზე პრეტენზიის მქონე მეოცნებეებს უხერხულ მდგომარეობაში აგდებენ.

სახელისუფლებო კულუარებში ყველაზე აქტიურად რესპუბლიკელების წასვლის საკითხი განიხილება. როგორც ამბობენ, მათ კვოტებთან



დაკავშირებით დიდი მადა გამოიჩინეს და ამით „ოცნების“ მამა, ბიძინა ივანიშვილიც ძალიან გააბრაზეს.

ივანიშვილის პოზიციის გაჟღერებად ჩათვალეს თამაზ მეჭიაურის განცხადება, რომელმაც რამდენიმე დღის წინ თქვა, ვისაც დიდი პოლიტიკური მადა აქვს, გამოვიდეს კოალიციიდან და დამოუკიდებლად იყაროს კენჭიო.

როგორც ამბობენ, მადიანებში ის სწორედ რესპუბლიკელებს გულისხმობდა.

# „ეს ნახატი ვან დეიკს არ ეკუთვნის“

## საგამოძიებო უწყებაში ხელოვნებათმცოდნე დალი ლებანიძე დაკითხეს

გუშინ, 13 იანვარს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო უწყებაში ხელოვნებათმცოდნე დალი ლებანიძე დაკითხეს, რომელიც იმ კომისიაში იყო, რომელმაც ვან დეიკის ტილოს ქვეყნიდან გაცემის ნებართვა გასცა.

იგი ჩვენებას დაახლოებით 4 საათის განმავლობაში აძლევდა. როგორც ლებანიძემ დაკითხვის დასრულების შემდეგ განაცხადა, ტილო, რომელსაც საკმაოდ ბევრი ხმაური მოჰყვა, ვან დეიკს არ ეკუთვნის.

– ეს ნამუშევარი არაფრით გამორჩეული არ იყო. დღესაც ამას ვამტკიცებ და გულით მინდა დაგარწმუნოთ ამაში. ეს არის ძალიან მდარე გემოვნებით შესრულებული ასლი რაღაც მითოლოგიური სიუჟეტის, რომელიც ალბათ რაღაც მეათეხარისხოვანი სურათია ევროპული სკოლის და იმისგან არის გადმოხატული, – ამბობს დალი ლებანიძე.

ის არ ენდობა თურქული მხარის ანალიზს.

– ეს უნდა გადამოწმდეს ევროპულ ქვეყანაში ლაბორატორიულად, – ამბობს ლებანიძე.

ფინანსთა სამინისტრომ გუშინ ეკა აბაშიძეც დაკითხა, რომლის მტკიცებით, ვან დეიკის ტილო მათ ეკუთვნოდათ.

როგორც აბაშიძემ აღნიშნა, მას შეკითხვები დაუსვეს ვან დეიკის ნახატთან დაკავშირებით. ამასთან, აბაშიძის თქმით, მან გამომძიებელს მიაწოდა ფოტოსურათი, რომელიც, მისი თქმით, ადასტურებს, რომ ვან დეიკის ნახატი მათი ოჯახის საკუთრება იყო.





ეკა აბაშიძის თქმით, მან ისაუბრა დეტალებზე, თუ როგორ შეიძინა ჰუსეინოვმა მისგან ნახატი, რომელშიც შეთანხმებული თანხის მხოლოდ ნაწილი გადაიხადა და დიდი ნაწილი დღემდე ვალად რჩება.

– მე ვისაუბრე, თუ როგორ იტყუება ჰუსეინოვი, რომ მან კეთილსინდისიერად შეისყიდა ნახატი ჩვენგან, – განაცხადა ეკა აბაშიძემ.

საგამოძიებო სამსახურმა ვან დეიკის ნახატთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილით დაიწყო.

აღნიშნული მუხლი კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ნივთის საზღვარზე უკანონოდ გადატანას გულისხმობს.

# ირაკლი აბესაძე: „მერიაში ივანიშვილის კადრები ინიშნებიან“



თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – თბილისის“ თავმჯდომარე ირაკლი აბესაძე მერიაში საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით აცხადებს, რომ თბილისის მერიაში არსებული სრული უპასუხისმგებლობა, გულგრილი დამოკიდებულება თბილისელების პრობლემებისადმი, გაფლანგული მილიონები, კორუფცია და ნეპოტიზმი – სწორედ ამის შედეგია სრულად ჩავარდნილი ინფრასტრუქტურული პროექტები და ბედის ანაბარად მიტოვებული ქალაქი. ამდენი პრობლემის არსებობის მიუხედავად 2015 წელს მერიამ ვერ დახარჯა 40 მილიონი ლარი და ასეთ სიტუაციაში, ნარმანიასა გადაყენებისა და ახალი მერის არჩევის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ დაბალი პოლიტიკური რეიტინგის გამო რიგგარეშე არჩევნების წაგების შიშით არ მიიღება.

– მერიაში გამოცდილი და კვალიფიციური კადრების შერჩევის მაგივრად , გრძელდება „ქართუ ჯგუფის“ თანამშრომლების მერიაში დანიშვნა. ეს კი ადგილობრივ დონეზე არაფორმალური მმართველობის დამკვიდრების საბოლოო ლუსტრაციაა და ნიშნავს, რომ თბილისის მერი უფლება-მოვალეობების შესრულებისგან ფაქტობრივად ჩამოშორებულია.

რაც შეეხებათ ლილუაშვილს და მერიაში მანამდე დანიშნულ ივანიშვილის კადრებს, უკვე ვნახეთ, რომ მათი მთავარი დავალება და საზრუნავი არა თბილისელების, არამედ ივანიშვილის პრობლემების გადაწყვეტაა, კერძოდ მის რეზიდენციასთან და „პანორამა თბილისთან“ დაკავშირებული პროექტების განხორციელება – კრწანისი–შინდისის გზა, რომლის დაჩქარებული წესით აშენების შემდეგ, იგეგმება სოლოლაკში არსებული გზის ფაქტიურად დაკეტვა, ბოტანიკური ბაღის მისი რეზიდენციის ეზოდ გადაქცევა და იქ ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, პუშკინის ესტაკადა, რომელიც თავისუფლების მოედანზე მშენებარე ყოფილი ცეკავშირის შენობას უკავშირდება, – განაცხადა დღეს გამართულ ბრიფინგზე აბესაძემ.

**მედიანიუსი**

# გია ხუხაშვილი: „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში აღარ არის“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

პოზიტიური ფაქტორი, ერთიანი პლატფორმა, ვერა და ვერ გახდა ხელისუფლებას მოწყურებული ადამიანების შემაკავშირებელი ელემენტი. სულ ნეგატიური ფაქტორები გვაქვს.

***– დღეს ასევე აქტიურად მიდის საუბარი ალასანიას გუნდის კოალიციაში დაბრუნებაზე. ამას რამდენად უშვებთ?***

– არა, მე ამას არასერიოზულად ვუყურებ. თუ ჩვენ ზალკალიანის პრეცედენტით ვიმსჯელებთ, ეს არასწორია. შეიძლება დაავიწყდათ, მაგრამ ის პოლიტიკურ პარტიას დიდი ხანია ჩამოშორებულია და ეს მისი პიროვნული არჩევანია. ის აქტიური პოლიტიკოსი არც არასოდეს ყოფილა. მე გამოვრიცხავ თავისუფალი დემოკრატების კოალიციაში დაბრუნებას.

***– რა შემადგენლობით შეიძლება ვიხილოთ საბოლოო ჯამში კოალიცია?***

**ღარიბაშვილი ორი წელი პრემიერ-მინისტრი იყო და ისე უცნაურად წავიდა, სამ დღეში აღარავის ახსოვდა, რომ ის არსებობდა. ერთადერთი ფაქტორი „ქართული ოცნების“ არის ბიძინა ივანიშვილი. ხელისუფლება დღეს დგას ერთ ადამიანზე და ეს კონიუნქტურა ვერ შეიცვალა**

– არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება შიგნით. ან ამ შესვლა-გამოსვლას რა მნიშვნელობა აქვს?! თუნდაც იგივე ღარიბაშვილი ორი წელი პრემიერ-მინისტრი იყო და ისე უცნაურად წავიდა, რომ სამ დღეში აღარავის ახსოვდა, რომ ის არსებობდა. ერთადერთი ფაქტორი „ქართული ოცნების“ არის ბიძინა ივანიშვილი. ხელისუფლება დღეს დგას ერთ ადამიანზე და ეს კონიუნქტურა ვერ შეიცვალა. აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

***– რომელ ფაქტორს გულისხმობთ?***

– ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ შექმნეს ერთგვარი სიმბიოზური ურთიერთობა. სიმბიოზი არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ერთმანეთი უნდა გიყვარდეთ. მათ ჰაერივით სჭირდებათ ერთმანეთი და ეს სიმბიოზი ცდილობს, რომ ისევ მათ დაიკავონ მთლიანად პოლიტიკური სივრცე საქართველოში და ისევ დარჩნენ ხელისუფლებაში. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში აღარ არის უკვე!

***– აბა ვინ არის?***

– დღეს ხელისუფლებაში ჩვენ გვყავს სიმბიოზი, სახელად „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. დღეს ხელისუფლებას დიდწილად ფლობს ე.წ. კოლექტიური მურუსიძე. სისტემამ საბოლოო ჯამში მოახერხა და მძევლად აიყვანა „ქართული ოცნება“. მიუხედავად მათ შორის ასეთი ბრძოლისა, მათ ერთმანეთი წყალივით სჭირდებათ. სისტემა ნელ-ნელა ბრუნდება ხელისუფლებაში და ამის ძალიან ბევრი სიმპტომია.

***– რომელ სიმპტომებზე საუბრობთ?***

– გადახედეთ ნებისმიერ უწყებას, რა ხდება. „ქართულმა ოცნებამ“ პირდაპირ იბრძოლა მურუსიძის დანიშვნისთვის. ძალიან ბევრი მურუსიძეა ამ ხელისუფლებაში. უკვე კოლექტიური მურუსიძე გვყავს.

***– ეს რას ნიშნავს?***

– ეს ნიშნავს, რომ დღეს ნაციონალური მოძრაობის სისტემა გახდა, კარგ შემთხვევაში, ნაწილი დღევანდელი ხელისუფლების და ცუდ შემთხვევაში – საკონტროლო პაკეტის მფლობელი. „ქართული ოცნება“ კი დაავადებულია სტოკჰოლმის სინდრომით, როდესაც მძევალს უყვარდება თავისი მწვალებელი და მის გარეშე ცხოვრება აღარ შეუძლია.

***– ანუ მომდევნო ოთხი წელიც ეს სურათი გვექნება?***

– არც ისე დასალხენად აქვთ საქმე. ჩვენ ვხედავთ, რომ რეალურად ამომრჩეველი დაშორდა პოლიტიკურ ელიტას. ამომრჩეველი თვლის, რომ მას ჰყავს ცუდი ხელისუფლება და უარესი ოპოზიცია. საქართველოში ძალიან სწრაფად ვითარდება ხოლმე პროცესები და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ სიმბიოზმა ვერ მოახერხოს უმრავლესობის შეკვრა. ანუ ვერ მოიპოვოს გადამწყვეტი უმრავლესობა პარლამენტში.

# „თინა ხიდაშელის მინისტრობის დროს ნატოსთან ყველაზე ინტენსიური ურთიერთობა გვაქვს“

**ცოტა ხნის წინ ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა და თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ერთგვარი პარტიული დავალება მისცა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტზე დასანიშნად გამზადებულ, ყოფილ პარტიელ ზალკალიანს, რომ დანიშვნის შემდეგ იარაღის თემა წამოწიოს.**

**რას ნიშნავს ალასანიას განცხადება მაშინ, როცა თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა იარაღის საკითხზე საფრანგეთთან ხელშეკრულებას ხელი უკვე მოაწერა?**

**თავდაცვის მინისტრის მრჩეველი გიორგი თავდგირიძე ირაკლი ალასანიას ურჩევს, როდესაც ქვეყნის უსაფრთხოებაზეა საუბარი, პოლიტიკური დივიდენდები მთავარი თემა არ იყოს.**



გულიკო ბალაძე

***– ბატონო გიორგი, ზალკალიანმა რა იარაღის თემა შეიძლება წამოწიოს? თავდაცვის სამინისტრომ ხომ გააფორმა ხელშეკრულება საფრანგეთთან? რას შეიძლება ემსახურებოდეს ასეთი განცხადება?***

– როცა ქვეყნის უსაფრთხოებაზეა საუბარი, ბატონ ირაკლის უნდა ესმოდეს, რომ პოლიტიკური დივიდენდები არ უნდა იყოს მთავარი თემა.

***– პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებაზეა საუბარი თუ მართლა არის იარაღის თემა წამოსაწევი?***

– ეს ყურით მოთრეული თემაა, რადგან იარაღის თაობაზე საფრანგეთთან კონტრაქტი გაფორმდა. ეს კონტრაქტი არის მუშა კონტრაქტი. მის შედეგებს მოსახლეობა დაინახავს. ამას აღარ სჭირდება სპეკულაციები. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მხრიდან საქართველოსა და საფრანგეთს შორის სრული გაგებაა მიღწეული იარაღის თემაზე და ქვეყანა მიიღებს უსაფრთხოების ახალ, ძალიან მნიშვნელოვან შესაძლებლობებს.

***– საფრანგეთთან იარაღის საკითხზე ხელშეკრულებას ხელი მოეწერა და თუ ის უკვე მუშა პროექტია, მაშინ რაზე შეიძლება საუბრობდეს ალასანია?***

– მე არ ვიცი, ალასანია რაზე საუბრობს. ამ მიმართულებით ყველა კითხვა მოხსნილია.

***– ყოფილ თავდაცვის მინისტრს ასეთი განცხადებების გაკეთების უფლება აქვს? საიდუმლოების შენახვის ვალდებულება არ აკისრია?***

– საიდუმლოების თემა აქ არ ისმება. მისი, როგორც პოლიტიკური ლიდერის გადასაწყვეტია, რა თემაზე ისაუბროს და რაზე არა, მაგრამ ე.წ. სენსიტიურ თემებზე დივიდენდების მიღება არ ღირს.

***– საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კომპეტენციაში შედის იარაღის თემაზე საუბარი?***

– საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მნიშვნელოვანი ფიგურაა, მაგრამ ის, თუ რა შეიარაღება სჭირდება ქვეყანას, მოქმედი თავდაცვის მინისტრის და მოქმედი სამხედროების გადასაწყვეტია. მათ გააჩნიათ იარაღის თემაზე საუბრის კომპეტენცია.

***– საფრანგეთთან ხელშეკრულების გაფორმებაზე დიდხანს იყო აჟიოტაჟი. ალასანია საუბრობდა იმაზე, თითქოს საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობდა ამგვარი ხელშეკრულების გაფორმებაზე. ბოლოს თინა ხიდაშელმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას. იარაღის თემაზე რაიმე პუნქტი დარჩა კიდევ საფრანგეთთან სალაპარაკო?***

– ჩვენ ვართ ხელშეკრულების განხორციელების პროცესში. დარჩა მხოლოდ ის დრო, რომელიც საჭიროა კონტრაქტის სარეალიზაციოდ. ყველა ფორმალობა მოგვარებულია. აქედან გამომდინარე, ახლა ამაზე საუბარი ზედმეტია.

***– ჩვენი ჯარის შეიარაღების დონე როგორია?***

– ჩვენი ჯარის შეიარაღებაზე საუბარი ჩემი მხრიდან არაკორექტული იქნება. მე შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ტრანსფორმაცია, რომელიც მიმდინარეობს არსებითი პაკეტის ფარგლებში.

შარშან ნატოს გენერალურმა მდივანმა გააკეთა განცხადება, რომელიც შეეხებოდა ნატოს პროექტებს, საქართველოსთვის დახმარება გაეგრძელებინათ, რაშიც ნატოს ძალიან ბევრი ქვეყანაა ჩართული. ნატო საქართველოს ეხმარება შეიარაღების, ტექნიკის გაუმჯობესებაში, სისტემის დახვეწაში. ისეთი ტიპის შეიარაღებული ძალები უნდა შევქმნათ, რომელიც საქართველოს მოსახლეობას გაუჩენს განცდას, რომ მათ შეუძლიათ საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის სრულყოფილად დაცვა.



## გიორგი თავდგირიძე: „ჩვენ ვართ საფრანგეთთან იარაღის კონტრაქტის განხორციელების პროცესში“

გიორგი თავდგირიძის განცხადებით, დღევანდელი თავდაცვის მინისტრის პირობებში დასავლელი პოლიტიკოსები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ საქართველოს დაეხმარონ ჯარის ტრასფორმაციასა და მისი ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებაში.

***– ბატონო გიორგი, მართლა აღიზიანებთ თინა ხიდაშელის განცხადებები ნატოს წარმომადგენლებს და დასავლელებს?***

– ძალიან კომიკურად ჟღერს, რომ საქართველოს მოქმედ თავდაცვის მინისტრზე გაბრაზებული და შეშფოთებული ნატოს პოლიტიკოსები დარბიან და უჩივიან საქართველოს თავდაცვის მინისტრს.

***– მამრაძე ამბობს, რომ დიპლომატიურ წარმომადგენლობებში ნაცნობებმა კერძო საუბრებში უთხრეს.***

– ფაქტია, რომ დღევანდელი მოქმედი თავდაცვის მინისტრის პირობებში „გაღიზიანებული ნატოელი პოლიტიკოსები“ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გააძლიერონ, დაეხმარონ საქართველოს შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაციაში. ერთია, რას საუბრობს მამრაძე და მეორეა რეალობა.

***– მამრაძე იმასაც ამბობს, რომ დასავლელებს აღიზიანებთ რუსეთის მისამართით თინა ხიდაშელის განცხადებები.***

– მაშინ ბატონ პეტრეს ეთქვა, რომ მას აღიზიანებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებები რუსეთის მიმართ. მას თუ აღიზიანებს, არ ვიცი, მაგრამ დასავლელებს არც მოქმედებებში, არც განცხადებებში არ გამოუხატავთ რაიმე ტიპის გაღიზიანება საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკისა და თავდაცვის გარემოებების მიმართ. ეს არის სპეკულაციები.

***– თინა ხიდაშელმა თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შემდეგ შემტევი პოლიტიკა აირჩია ნატოსთან ჩვენი ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ამიტომ ვიღაცები თინა ხიდაშელის შემტევ პოლიტიკას გამაღიზიანებლად მიიჩნევენ. თქვენ როგორ აფასებთ თინა ხიდაშელის მუშაობას ამ პოსტზე?***

– მისი შემფასებელი უნდა იყოს დრო და საზოგადოება. გავა დრო და დაიდება შედეგები. ჩემი აზრით, ისეთი ინტენსიური საქმიანი ურთიერთობა, როგორიც საქართველოსა და ნატოს შორის არის, აქამდე არ ყოფილა.

***– რაში გამოიხატება ეს?***

– ეს გამოიხატება არა პოლიტიკურ საუბრებში, არამედ რეალურ დახმარებაში, რეალურ ქმედებაში, რეალურ ღონისძიებებში, რომელთაც ნატო ახორციელებს. კერძოდ, დღეს ჩვენ არა მარტო შეიარაღება შევიძინეთ, არამედ ნატოს წევრი ქვეყანა გვეხმარება სამხედრო-საჰაერო სისტემის აწყობაში. ნატოს წევრ ქვეყნებს აღებული აქვთ საკურაციო მიმართულება არსებითი პაკეტის ფარგლებში საქართველოს სამხედრო ძალების პოზიციების გაძლიერებისთვის. ბევრი მიმართულებაა (დღეს ყველაფერზე საუბარი არ შემიძლია), რასაც მივყავართ ქართული ჯარის გაძლიერებამდე.

***– აზერბაიჯანულ წყაროებზე დაყრდნობით დაიწერა, რომ თურქეთმა შეიძლება საქართველოში სამხედრო ბაზის გახსნა მოითხოვოს. რეალობასთან ახლოს არის ამგვარი აზრი?***

– აღნიშნული განცხადების ავტორი ოფიციალურ წყაროს არ წარმოადგენს. ამ საკითხის განხილვაც კი წარმოუდგენელია.

# მიხეილ მაჭავარიანი: „საქართველოს ენერგოსისტემის ხელში ჩაგდება ივანიშვილს უნდა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ჰა-ჰა-ჰა! ვაიმე, ვაიმე. რას ჰქვია, სოკარი ნაციონალების დამფინანსებელია. რაღაც კარგად ვერ გავიგე! ეს არის სისულელე. ამის დამამტკიცებელი არც ფორმალური და არც არაფორმალური დოკუმენტი არ არსებობს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სოკარს საქართველოში რომელიმე პოლიტიკური პარტიის დაფინანსება ეკრძალება. ის არის უცხოური კომპანია, უცხოური კომპანიების მიერ პარტიების დაფინანსებას საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს.

სოკარიც სახელმწიფო კომპანიაა და ისინი ილხამ ალიევის გარეშე ვერაფერს გააკეთებენ. რა გამოდის, ალიევი ებრძვის ქოცებს? ეს არის ძალიან ცუდი არგუმენტი. ნათქვამია, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო და ეს ოხერი ხავსიც აღარ არის. მათი არგუმენტი არის ლამი, რომელსაც ხელს ვერ მოკიდებ. არგუმენტები დაიდოს, არგუმენტები!

***– ერთ-ერთი არგუმენტი არის ის, რომ თქვენ მხარს უჭერთ სოკარს.***

– ჩვენ სოკარს კი არა, იაფ გაზს ვუჭერთ მხარს. მივიდა ადამიანი მალაზიაში და ერთი და იგივე საქონელი დახვდა. ერთი ღირს 190 დოლარი, მეორე – 210. თანაც ეს ძვირი ოკუპანტის მიერ არის წარმოებული, შედარებით იაფი კი მეგობრის შექმნილია. რომელს აირჩევს? ცხადია, იაფს. აბა ჩვენ რატომ უნდა ვიყიდოთ ძვირი და კალაძის გემოვნებით ვიცხოვროთ? თავად ევროპულად ცხოვრობს, ჩვენ კი რუსულ გაზს გვატენის, მაგრამ, როგორც ჩანს, ის მარტოა ამ საქმეს შეტოვებული.

***– რას ნიშნავს, მარტოა შეტოვებული?***

– როგორც ჩანს, ბიძინამ დაავალა და ეგეც შევიდა ბრძოლაში. ერთადერთი ზურაბ ტყემალაძე იცავდა და ისიც რაღაცა სასაცილოებს ამბობდა.

***– ბიძინამ დაავალაო და გამოდის, რომ არაფერ შუაშია.***

– მთავარი დამნაშავე ბიძინაა, მის გარეშე ენერგეტიკის მინისტრი ამდენს ვერ გაბედავდა. როგორც კი ცნობილი გახდა, რომ ის გაზპრომთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, ღარიბაშვილი გავარდა აზერბაიჯანში და შეხვდა ალიევს. იქ განაცხადა, რომ გაზპრომთან არაფერი იქნება. ამის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა ალიევი და თქვა, მეგობრებო, დამატებით გინდათ გაზი? პრობლემა არ არის, მოგვარდებაო.

## „ნაციონალებმა გაზპრომთან ყველაზე მაგარი ხელშეკრულება დავდეთ“

რამდენიმე წელიწადში ჩვენ მივიღებთ შაჰდენიზის უიაფეს გაზს და ამასაც ვიჭრით. იმის გამო, რომ უნიათოები არიან, ისედაც 700 მილიონ დოლარიანი ბაზარი დაგვაკარგვინეს.

***– რა ბაზარი?***

– მანქანების ბაზარი. სააკაშვილს და მერაბიშვილს სწორი სქემა ჰქონდათ აწყობილი. საქართველო უნდა გამხდარიყო ჰაბი. აბა ისიც გაიხსენეთ, რა დღეში ჩაგვაგდეს, თხილი რომ გავაშენეთ საქართველოში. თურმე, როგორ შეიძლება ნაციონალურო კულტურა ჩაი ჩაანაცვლოს თხილმა.

ბიჭო, ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე წერდა, საქართველომ თავად უნდა გადაწყვიტოს, რა უფრო მნიშვნელოვანია მისთვის, ხორბლის თუ ღვინის წარმოება. ის ღვინოს უჭერდა მხარს იმიტომ, რომ აქედან საქართველოს მეტი შემოსავალი ჰქონდა. ზუსტად ასე მოხდა თხილის შემთხვევაში. დღეს თხილი უფრო მეტი გავიდა ექსპორტზე, ვიდრე ღვინო.

***– ზემოთ თქვენ აღნიშნეთ, რომ როგორც კი გაზპრომთან მოლაპარაკებების შესახებ გახდა ცნობილი, ღარიბაშვილი აზერბაიჯანში ალიევთან შესახვედრად გაიქცაო. ყოფილი პრემიერი გაზპრომის შემოსვლას ეწინააღმდეგებოდა?***

– რა წინააღმდეგი? ის ბიძინას გარეშე ვერ გაბედავდა ამას. ეტყობა, იქიდან ძალიან მნიშვნელოვანი და მკაფიო მესიჯი წამოვიდა. ეს ქვეყანა ჩვენთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორი. თავიანთი უტვინობით ისედაც დაკარგეს მანქანების საექსპორტო ბაზარი, შეეშინდათ და ამიტომ აფრინეს ბაქოში ღარიბაშვილი. ის ბატონი ბიძინას გარეშე იქ ვერ წავიდოდა. წასვლამდე ალბათ ათჯერ დაელაპარაკა, და რომ ჩამოვიდა, 30-ჯერ მაინც მოუყვებოდა ამბავს. არც აზერბაიჯანთან უნდათ ბოლომდე გაიფუჭონ საქმე, ამასთან, რუსულ გაზსაც გვატენიან.

***– ამბობენ, ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ არ გვინდა, ამ საქმეში ერთი კომპანია იყოს მონოპოლისტიო.***

– გასაგებია, რომ მონოპოლია კარგი არ არის, მაგრამ ამიტომ უნდა გადავიხადოთ არსებულზე მეტი ფასი? თუ სხვა კომპანია უნდათ, მაშინ ირანისგან ვიყიდოთ გაზი.

***– აბა ირანთან არაფერი ხდებაო.***

– ეგ კალაძე ამბობს ასე, ირანული პრესა სულ სხვა რამეს წერს. მათი ინფორმაციით, საქართველოს, რუსეთსა და ირანს შორის გაიმართა სამმხრივი შეხვედრა, სადაც ეს საკითხი განიხილებოდა. ამ საკითხზე იმდენი ტყუილი თქვეს, რომ მათი არავის სჯერა. ქვეყანას ენერგოდამოუკიდებლობას ვერ დავაკარგვინებთ და გაზპრომის შემოსვლას შევეწინააღმდეგებით.

***– რა უნდა დაუპირისპიროთ?***

– გახსნილობა და საზოგადოების პოზიცია. საბოლოო ჯამში ვერ გაბედავენ ხელშეკრულების გაფორმებას. ამ ამბის „გამპრავებელიც“ კი არ ჰყავთ. აქამდე ტყემალაძე იყო მარტო თავისი სასაცილო არგუმენტებით. ახლა სხვებიც დაიწყებენ გაზპრომის ქებას, იცით, როგორ არის ამათი საქმე? ანეკდოტში ცოლი ქმარს ჯიბეში სხვა ქალის ტრუსიკს რომ უპოვის და იყვირებს, მოიფიქრე რამე, თორემ დაგვემხო ოჯახი თავზეო. ქოცებიც ასე არიან, თავისიანებს ეხვეწებიან, მოიფიქრეთ რამე, თორემ ხელისუფლება დაგვემხო თავზეო.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „გაზპრომის შემოყვანით ხელისუფლება ცდილობს, სოკარს ფასი დააგდებინოს“

**რა ტიპის მოლაპარაკებებს მართავს საქართველოს ხელისუფლება გაზპრომთან? რამდენად არსებობს საჭიროება, რომ ჩვენი ენერგომატარებლები კიდევ უფრო მეტად დაუკავშირდეს რუსეთს?**

**„ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**



## თორნიკე შარაშენიძე: „ამ თამაშში ღრმად არ უნდა შევტოპოთ“

ნათია ხურცილავა

***— ბატონო თორნიკე, კახა კალაძე შეხვდა ექსპერტებს, შეხვედრას თქვენც ესწრებოდით, რა ინფორმაცია მიიღეთ მინისტრისგან, ამ შეხვედრის შემდეგ უფრო ინფორმირებული თუ ხართ?***

— ექსპერტებთან შეხვედრას, კახა კალაძის გარდა, მისი მოადგილეებიც ესწრებოდნენ. ასევე იყვნენ ენერგეტიკოსები, ამ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც საერთო არ აქვთ პოლიტიკასთან და ამ საკითხს პროფესიულ ჭრილში განიხილავენ.

პრობლემა ისაა, რომ ხან ერთს საუბრობენ, ხან მეორეს და ხან — მესამეს. ერთიანი პოზიცია არ არის ჩამოყალიბებული. იმ ექსპერტებს, რომლებმაც შეხედულებები გამოთქვეს ამ საკითხზე, დიდი ხანია, ვიცნობ და ვენდობი.

***— რა თქვეს მათ, როგორი იყო მათი პოზიცია?***

— რაც მათ ილაპარაკეს, თუ ეს რეალურად ასეა, ამაში არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ასევე ილაპარაკა კალაძემ და მისმა მოადგილემ, მათი საუბრიდან გამომდინარეც არ დამრჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ რაღაც სასწაული და საშინელება ხდება. თუმცა, კალაძე პოლიტიკოსია და პოლიტიკოსის ლაპარაკი შეიძლება ყოველთვის არ დაიჯერო.

***— რამდენად რეალურია, რომ დეფიციტი გვაქვს და სწორედ მის შევსებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები?***

— როგორც ჩანს, მართლაც გვაქვს დეფიციტი და დეფიციტის შევსების მიზნით მიმდინარეობს მოლაპარაკებები გაზპრომთან. მე ენერგეტიკის სპეციალისტი არ ვარ და უფრო ღრმა ანალიზსს ვერ გავაკეთებ.

***— თუმცა, კითხვები რჩება და კითხვები აქვს საზოგადოების რაღაც ნაწილს. მეტი ინფორმირებულობა ხომ არ არის საჭირო?***

— რასაკვირველია, არის საჭირო. ისევ და ისევ რჩება პრობლემად მთავრობის შეუთანხმებელი პოზიციები. იმედი მაქვს, რომ ამ შეხვედრის შემდეგ უფრო ნათელი განცხადებები გაკეთდება და კრიტიკული აზრების მოსმენაც არ იქნება მიუღებელი. პრობლემა არის არაგამჭვირვალობა, მეტი ინფორმაცია და მეტი ღიაობა იქნება ბევრად უკეთესი ხელისუფლების პოზიციის დაცვისთვისაც.

***— კალაძე ნაკლებ გამჭვირვალობას რით ხსნის?***

— იმით, რომ პარტნიორებს, პირველ რიგში, აზერბაიჯანელებს, უშუალოდ სოკარს რაღაცების გახსნა არ უნდა. გასაგებია სოკარის პოზიცია, მაგრამ მთავრობა უნდა ჩამოყალიბდეს ერთიან პოზიციაზე, რომელიც აწყობს ჩვენს პარტნიორებსაც და ჩვენც და ამ მესიჯით უნდა ისაუბროს საზოგადოებასთან.

***— კრემლის ხელში გაზპრომი არის იარაღი, რომლითაც ის ევროკავშირსაც აშანტაჟებს. სად არის ზღვარი, სადაც მხოლოდ ეკონომიკური ინტერესებია და პოლიტიკა არაფერ შუაშია?***

— ასეთი ზღვარის გავლება პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის ძალიან რთულია, თითქმის შეუძლებელიც კი. ალბათ რაღაც დონეზე დამატებით გაზს გაზპრომიდან მივიღებთ, მაგრამ გაზპრომზე დამოკიდებულება გაცილებით მცირე იქნება, ვიდრე სოკარზე, რაც თავისთავად კარგია.

ჩემი დასკვნით, ორი ვარიანტია:

1. აზერბაიჯანიდან მოწოდებული გაზი არ არის საკმარისი და იძულებული ვართ, დამატებითი გაზი გაზპრომიდან ვიყიდოთ.

2. როგორც ჩანს, სოკარი კომერციულ ობიექტებზე გაზს ძვირად ყიდის, რაც მთავრობას არ აწყობს. ამ შემთხვევაში სოციალურ გაზზე საუბარი არ არის. როგორც ჩანს, ხელისუფლებას შემოჰყავს გაზპრომი და ამით ცდილობს, სოკარს გაზის ფასი დააგდებინოს და არა ის, რომ სოკარს გაზი არ აქვს. მაგრამ ეს შეიძლება იყოს სახიფათო თამაში.

***— რატომ?***

— რომ არ გადავიმტეროთ ჩვენი პარტნიორი სახელმწიფო აზერბაიჯანი. სოკარი მონოპოლისტია, მაგრამ მაინც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აზერბაიჯანი საქართველოს შეუცვლელი პარტნიორია. იმედია, რომ მთავრობა ამ თამაშში არ გადაამლაშებს, თუკი ის ცდილობს, რომ სოკარს ფასი დააგდებინოს. ოქროს შუალედი უნდა მოვნახოთ აზერბაიჯანთან ურთიერთობებში. არ უნდა შევტოპოთ ძალიან ღრმად.

***— გაზპრომთან ურთიერთობაში ნაციონალური მოძრაობა პირდაპირ ივანიშვილის კვალს ხედავს. ეს რამდენად რეალური შეიძლება იყოს თუ ეს მხოლოდ პოლიტიკის ნაწილია?***

— ივანიშვილს 1 პროცენტი წილი ჰქონდა გაზპრომში. ჩვენ არ ვიცით, აქვს თუ არა კიდევ. შეიძლება ამაზე ვილაცებმა ილაპარაკონ, ეს, ერთი მხრივ, შეთქმულების თეორიას შეიძლება ჰგავდეს, მაგრამ მეორე საკითხია, აქვს თუ არა გაზპრომში კიდევ წილი ივანიშვილს? ეს ლეგიტიმური კითხვაა.

საპარლამენტო ოპოზიცია კალაძეს იბარებს პარლამენტში, კალაძე უნდა მივიდეს და ყველა კითხვას გასცეს პასუხი, რადგან ოპოზიციის ამომრჩეველს უნდა სცე პატივი, რადგან შენ მისი ხელისუფლებაც ხარ. მეტი ინფორმულობა, მეტი ღიაობა არის გამოსავალი. მეტი შეხვედრები ექსპერტებთან, საზოგადოების ჯგუფებთან და მეტი განმარტებები უკეთესია თავად სახელმწიფო ინტერესებისთვის, დემოკრატიისთვის.

# ვის დააზარალებს სოკართან ურთიერთობების გაწყვეტა?

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოში გაზის სკანდალი გრძელდება. ოპოზიციის ნაწილი ხელისუფლებას ადანაშაულებს იმაში, რომ რუსულ სახელმწიფო კომპანია გაზპრომთან საიდუმლო მოლაპარაკებებით ხდება ქვეყნის რუსულ ორბიტაზე დაბრუნება.**

ხელისუფლება თავს იმართლებს და ამბობს, რომ გაზპრომთან გარკვეული თანამშრომლობა წლების განმავლობაში მიმდინარეობს.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა მხრიდან ბოლო დღეებში გაკეთდა ასევე განცხადებები გაზის დეფიციტის შევსების აუცილებლობაზე.

ამ თემაზე თავის სიტყვას ამბობს აზერბაიჯანული კომპანია სოკარი, რომელიც საქართველოს გაზის ფაქტობრივად ერთადერთი მომმარაგებელია.

სოკარ ენერჯი ჯორჯიის ხელმძღვანელის, მახირ მამედოვის ინფორმაციით, საქართველო აზერბაიჯანიდან გაზს იღებს ჩვეული რეჟიმით, ბალანსის დაცვითა და ქვეყნის მოთხოვნების გათვალისწინებით. 2015 წლის იანვარ-ნოემბერში მიწოდებული გაზის მოცულობა 1,5 მილიარდი კუბომეტრი იყო.

აზერბაიჯანული გაზი სამი გაზსადენით მიეწოდება საქართველოს. ესენია: გაჯიგაბული-გარდაბანი, ბაქო-თბილისი-ერზრუმი და რუსეთის მილსადენი. აზერბაიჯანიდან მოწოდებული გაზის მოცულობა შეადგენს იმპორტირებული გაზის საერთო მოცულობის თითქმის 80%-ს.

აზერბაიჯანული სააგენტო ტრენდის შეფასებით, ინფორმაციები საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლების საიდუმლო და აშკარა მოლაპარაკებების შესახებ გაზის მოწოდების თაობაზე ბოლო დროს იწვევს გაუგებრობებსა და მთელ რიგ შეკითხვებს.

აზერბაიჯანული მედია აღნიშნავს, რომ პრობლემა არ მომდინარეობს სოკარის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობიდან — ქვეყნებს შორის მოქმედებს გრძელვადიანი ხელშეკრულება, რომლის მოთხოვნებს აზერბაიჯანი სრულად ასრულებს. ეჭვს იწვევს ასევე ამ მოლაპარაკებების კავშირი გაზის დამატებითი წყაროების მოძიებასთან გაზრდილი მოთხოვნის გამო.

ამჟამად საქართველოში გაზის ყოველწლიური მოხმარება დაახლოებით 2 მილიარდ კუბომეტრს შეადგენს. მოხმარების ზრდა სულ 8-9%-ია. ამას აზერბაიჯანი ითვალისწინებს. მას უპრობლემოდ შეუძლია დამატებითი მოცულობის მიწოდება.

— უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს სოციალური ფაქტორიც: სოკარი საქართველოში ახორციელებს გაზიფიკაციას და განზრახული აქვს 2017 წლისთვის გაზიფიკაციის დონის გაზრდა 82%-მდე. შეასრულებს თუ არა ასეთ სამუშაოს საქართველოში გაზპრომი? პასუხი აშკარაა, — აღნიშნავს ტრენდი.

მედიასაშუალება ასახელებს საქართველოსა და რუსეთის გაზპრომის მოლაპარაკებების სავარაუდო მიზეზს. ესაა მოჩვენებითი კონკურენციის შექმნა იმ მიზნით, რომ აიძულონ სოკარი, დაწიოს გაზის მომარაგების ფასები. ეს ფასები, ტრენდის თქმით, ისედაც დაბალია.

ვინ წააგებს იმით, რომ საქართველოს შეუწყდეს აზერბაიჯანული გაზის მოწოდება? ამ შეკითხვას აზერბაიჯანელი მიმომხილველები ასე პასუხობენ:

— აზერბაიჯანს არ გაუჭირდება, გაზის ის მოცულობა, რომელსაც საქართველოს აწვდის, თურქეთში ან ევროპაში გაუშვას, თანაც — უფრო მომგებიან ფასად.

# „ონლაინ კაზინოები მთელ მსოფლიოში ცუდი ბიზნესია“

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივით, ონლაინ კაზინოების მიმართ, შესაძლოა, მკაცრი რეგულაციები ამოქმედდეს.**

**მთავრობა საკითხის საფუძვლიანად შესწავლას გეგმავს. კვირიკაშვილის თქმით, მიიღებენ ზომებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ის ზიანი, რომელიც სათამაშო ბიზნესს მოაქვს მოქალაქეებისთვის.**

საქართველოში ინტერნეტ-კაზინოების ბიზნესი დღეს ერთ-ერთი ყველაზე რთულად გასაკონტროლებელი და პრობლემური სფეროა. ონლაინ-კაზინოებში დარეგისტრირება ინფორმაციის გადამოწმების გარეშე ხდება, რაც საშუალებას იძლევა, რეგისტრაცია ყალბი და ცრუ მონაცემების საფუძველზე მოხდეს. ხშირია შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვნები სათამაშოდ სხვა ადამიანის პირადობის დამადასტურებელ მოწმობას იყენებენ.

არ არსებობს რეგულაციები, რომლებიც არეგულირებენ საიდენტიფიკაციო წესების შექმნას. ზოგი ინტერნეტ-კაზინო კლიენტის შესახებ ინფორმაციას იღებს მისი რეგისტრაციის დროს სახელითა და პირადი ნომრით, თუმცა არანაირი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი არ არის მოთხოვნილი იმისთვის, რომ დადგინდეს, შეესაბამება თუ არა ერთმანეთს სახელი და რეგისტრირებული პირადობის ნომერი.

არ არსებობს პრევენციული კონტროლის მექანიზმები იმისთვის, რომ არ მოხდეს ფიქტიური მონაცემების გამოყენება.

ამ ეტაპზე უცნობია, რა ტიპის რეგულაციები ამოქმედდება ინტერნეტ-კაზინოების წინააღმდეგ და როგორი იქნება მთავრობის შემდგომი ქმედებები. თავად ონლაინ კაზინოები „ბიზნესპრესნიუსთან“ რაიმე კონკრეტული განცხადების გაკეთებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. ექსპერტები კი რეგულაციების ამოქმედების საჭიროებაზე თანხმდებიან.

◆ ◆ ◆

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ემზარ ჯგერენაია აღნიშნავს, რომ რეგულაციები, რომლებითაც სათამაშო ბიზნესის მოწესრიგება მოხდება, აუცილებელია.

— ეს არ ნიშნავს, რომ ბიზნესს ხელი შეეშლება რეალური საქმის კეთებაში. ონლაინ კაზინოები მთელ მსოფლიოში არის საკმაოდ ცუდი ბიზნესი და არცთუ ისე გამართულად მუშაობს, — აცხადებს ექსპერტი.

ემზარ ჯგერენაიასთვის უცნობია, როგორ მოხდება მკაცრი რეგულაციების აღსრულება და მათი ადმინისტრირება, თუმცა მიაჩნია, რომ ასაკობრივი თუ სხვა შეზღუდვების დაწესება საჭიროა.

— აქ საუბარია სოციალურ პასუხისმგებლობაზე, მთელი ბავშვთა სამყარო ამით დაავადებულია, მშობლები

## როგორ დაარეგულირებს ონლაინ კაზინოების მუშაობას მთავრობა



ცუდ მდგომარეობაში არიან. თუმცა მე არ მჯერა, რომ მიზანი ბოლომდე იქნება მიღწეული, რადგან რაც უფრო მეტი აკრძალვა დაწესდება, გამონახავენ ამ აკრძალვების გვერდის ავლის მეთოდებს. დარეგისტრირდებიან სხვა ქვეყანაში, სხვა სიმბოლოებით და შემდეგ შემოვლენ საქართველოში, — ფიქრობს ექსპერტი.

ემზარ ჯგერენაიას აზრით, რეგულაციების შემოღებას პოზიტიური შედეგი ექნება კრიმინალური სიტუაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით, თუმცა ის მიიჩნევს, რომ ყველა შეზღუდვა თავისთავად ნეგატიურია და ამ შემთხვევაში შესაძლოა, რთული აღმოჩნდეს ოქროს შუალედის პოვნა.

— უნდა გაირკვეს, სად იწყება კრიმინალი და სადაა ნორმალური მოთამაშის ინტერესები, — აღნიშნავს ემზარ ჯგერენაია.

◆ ◆ ◆

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი მერაბ ჯანიაშვილი ეთანხმება რეგულაციების საჭიროებას.

მისი თქმით, ამჟამად არსებული რეგულაცია მხოლოდ ფორმალობაა და რეალურად, ნებისმიერი ასაკის ადამიანს მიუწვდება ხელი ონლაინ კაზინოებში სათამაშოდ.

— იმედი მაქვს, რომ მთავრობა ისეთ ქმედით ნაბიჯებს გადადგამს, რომლებიც რეალურად ჩარჩოებში მოაქცევს ამ სფეროს, — აღნიშნავს ჯანიაშვილი.

მისი აზრით, მთავრობის პოლიტიკური ნება საკმარისია იმისთვის, რომ ეს სფერო გარკვეულწილად მოწესრიგდეს.

— ყველა განვითარებულ ქვეყანაში ამ მიმართულებით რეგულაციები არსებობს და მინიმუმ ხდება იმის გადამოწმება, რეალურად ვინ დაფიქსირდა ონლაინ მოთამაშედ. ჩვენთან კი არანაირი იდენტიფიცირება არ მიმდინარეობს, ნებისმიერი ონლაინ კაზინოს ვებ გვერდზე რეგისტრაციისთვის საკმარისია მხოლოდ პირადი ნომრის მითითება, — აცხადებს აფბა-ს ვიცე-პრეზიდენტი.

მერაბ ჯანიაშვილისთვის უცნობია, რა მიმართულებით აპირებს პრემიერ-მინისტრი რეგულაციების შემოღებას, თუმცა თვლის, რომ ქმედითი ნაბიჯების გადადგმის დროა.

— ონლაინ კაზინოების ბიზნესს დიდად არ აინტერესებს, ვინ რეგისტრირდება მოთამაშედ. ისინი მოგებაზე არიან ორიენტირებულნი, ამიტომ მათ დიდად არ გაუხარდებათ რეგულაციები და პოტენციური კლიენტების რაოდენობის შემცირება. თუმცა, რაც უფრო მკაცრი რეგულაციები იქნება ამ კუთხით, საზოგადოებისთვის უმჯობესია, — აღნიშნავს აფბა-ს ვიცე-პრეზიდენტი.

**ქრისტინე გამთენაძე, ბიპიენი**

# პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მთავარ პროკურატურას წერილით მიმართა



პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სისტემური დანაშაულის შესახებ საქმეებთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურას წერილით მიმართა. წერილი საგამოძიებო უწყებაში პრეზიდენტის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, კახა კოჟორიძემ გადაგზავნა.

კახა კოჟორიძე:

– საქართველოს მთავარი პროკურორის განცხადების შემდეგ საჭიროდ ჩავთვალე წერილობით მიმემართა პროკურატურისთვის და დეტალურად განმემარტა საქართველოს პრეზიდენტის მიერ საჯაროდ დასმული კითხვების შინაარსი. წერილი უკვე გაგზავნილია საქართველოს პროკურატურაში და იმედია საზოგადოება მიიიღებს ინფორმაციას, თუ როგორ მიმდინარეობს გამოძიება სისტემურ დანაშაულებთან დაკავშირებით.

**ინტერპრესნიუსი**

# დავით უსუფაშვილი: „მთავრობაში ცვლილებები უკვე განხორციელდა“



– ვინც არ იცის გეტყვით, რომ მთავრობაში ცვლილებები უკვე განხორციელდა ვინც არ იცის გეტყვით, რომ მთავრობაში ცვლილებები უკვე განხორციელდა, – ასე უპასუხა პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა მინისტრთა კაბინეტში შესაძლო საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას.

მან ამ თემაზე ჟურნალისტებს ერთგვარი ხუმრობით უპასუხა.

– მთავრობაში იგეგმებოდა ცვლილებები და მოხდა უკვე ცვლილებები. სამი კვირის წინ ჩვენ ნდობა ახალ მთავრობას გამოვუცხადეთ. თუ ჯერ არ გაგიგიათ იმასაც გეტყვით, რომ პრემიერ-მინისტრი არის გიორგი კვირიკაშვილი, – განუცხადა ჟურნალისტებს დავით უსუფაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოში ამინდის გაუარესებაა მოსალოდნელი



14-15 იანვარს საქართველოში ამინდი გაუარესდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის უფროსმა სვეტლანა ნიორაძემ განუცხადა, 14-15 იანვარს საქართველოს უმეტეს რაიონში იწვიმებს, მთაში მოსალოდნელია თოვა, ხოლო მაღალმთაში ქარბუქი.

ქვეყნის დაბლობსა და ბარში ქარი გაძლიერდება, რომლის სიჩქარე წამში 10-15 მეტრი, ზოგან კი 17-22 მეტრი იქნება.

– დასავლეთ საქართველოს დაბლობში დღეს დღისით ტემპერატურა 7-12 გრადუსის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო 15 იანვარს – 5-10 გრადუსის ფარგლებში. დასავლეთ საქართველოში 18 გრადუსია. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში დღეს დღისით 9-14 გრადუსი დაფიქსირდება, 15 იანვარს – 5-10 გრადუსი; 16 იანვარს – 6 გრადუსი. მაღალმთიან რაიონებში კი 15 იანვარს ყინვა იქნება – -9 გრადუსი; 16 იანვარს კი -16 გრადუსი.

თბილისში დღეს, დღისით 10 გრადუსია მოსალოდნელი, 15 იანვარს – 9 გრადუსი, 16 იანვარს კი 6 გრადუსი, – განაცხადა სვეტლანა ნიორაძემ.

მისივე განმარტებით, 16 იანვარს საქართველოში ნალექი შეწყდება, თუმცა ბარში ღამით ყინვაა მოსალოდნელი. კერძოდ, -3+2 გრადუსის ფარგლებში, ზოგან – 6 გრადუსამდე; უშუალოდ თბილისში -1 გრადუსი ყინვა იქნება.

17-18 იანვარს დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა მკვეთრად მოიმატებს და უნალექო ამინდი იქნება.

ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში დღისით 20 გრადუსამდე, აღმოსავლეთ საქართველოში კი 14 გრადუსამდე გათბება.

**ინტერპრესნიუსი**

# მომღერლები საპროტესტო აქცია-კონცერტს გამართავენ

მომღერლები ნიაზ დიასამიძე, ქეთათო, ეკო დეისაძე, გამოუვალი მდგომარეობა და სხვა ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლები 16 იანვარს საპროტესტო აქცია-კონცერტს გამართავენ.

კონცერტი კანცელარიასთან ჩატარდება დევიზით „არა გაზპრომს!“

– მაშინ, როდესაც აზერბაიჯანი მზად არის ნებისმიერი რაოდენობის ბუნებრივი აირი მოგვაწოდოს, ჩვენი ხელისუფლება აწარმოებს გასაიდუმლოებულ მოლაპარაკებებს ქვეყანასთან, რომელსაც ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები და დღემდე აგრძელებს აგრესიულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ.

გაზპრომთან მოლაპარაკებები და რუსული გაზის საქართველოში შესაძლო იმპორტი საფრთხეს უქმნის საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას, ჩვენს ევროატლანტიკურ კურსს და, შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას.

ჩვენ, მუსიკოსები და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ვატარებთ გამაფრთხილებელ აქცია-კონცერტს და იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება შეწყვეტს ოკუპანტთან მავნებლურ მოლაპარაკებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი პროტესტი უფრო მტკიცე და მკაცრი გახდება.

დროა დავანახოთ ჩვენი ქვეყნის მმართველებს, რომ ჩვენ ბევრნი ვართ და ჩვენი ნებართვის გარეშე ისინი ვერ მიიღებენ მსგავს გადაწყვეტილებას, ჩვენგან კი მათ ეს ნებართვა არ ექნებათ! ვფიქრობთ, რომ არ გვაქვს პასიურობის უფლება, შემოგვიერთდით, დაიცავით თავისუფლება! – აცხადებენ აქცია-კონცერტის ორგანიზატორები და მასში მონაწილე მუსიკოს-შემსრულებლები.

# თითოეული ადამიანი საკუთარი საქმეებით უნდა აღასრულებდეს მის წოდებას (ბასილი დიდი, წესი 29)

თითოეულ ჩუენთაგანს სიცოცხლე ღმრთისგან ერთნაირად გვებოძა, წუთისოფელში, მიწიერ ცხოვრებაში გააჩნია როგორ გამოვიყენებთ ხანმოკლე პერიოდს. ყოველ საღად მოაზროვნე ადამიანს დაებადება კითხვები: მოვიქცევით კი ისე, რომ მომავალი თაობა იამაყებს ჩვენი ნამოღვაწარით, თუ პირიქით, შერცხვებათ ჩვენი სახელის ხსენება? დავიცავით და ვაბარებთ მათ ღვთივბოძებულ ქვეყანას, წინაპართა სისხლით გაპოხიერებულს ტერიტორიული მთლიანობით, უძველესი სარწმუნოებრივი ეკლესია-მონასტრებით, საიდანაც შეუწყვეტელი, ჭეშმარიტი ლოცვა აღევლინებოდა ღმრთისადმი, რის გამოც ღვთის მადლით ქვეყანა ამაყად იდგა წინაპართა ძვლებზე.



დავიცავით კი საზღვარგარეთ მოღვაწე მამათა მიერ შექმნილი წმიდა სალოცავები? მინავლდება თუ არა სარწმუნოებრივ კერაზე ჩაუქრობელი პატრუქი? მიწიერი, ცხოვრებისეული პერიოდი მკაცრი გამოცდა არს, ძიება გზისა, მიმყვანებელი სამოთხესა, თუ ...., რას ვეტყვით ჩვენ სამშობლოს და რას გვეტყვის ის. ვიქცევით კი ისე, რომ მაგალითს უჩვენებთ მათ ცხოვრების წესისა?

აღსასრულის ჟამს, რომელიც გარდაუვალია (ღმერთმა ყველა დიდხანს აცოცხლოს) თამამად შევხედავთ ვალმოხდილი ახლობლებს, რომლებიც უჩუმრად გვემშვიდობებიან, განწმენდილი სულით მოვუხმობთ მფარველ ანგელოზს? რომელიც ჩვენ სარეცელთან დგას. უამრავ კითხვას ბადებს ადამიანის მოვლინება და ცხოვრება ამა სოფელში.

ერის კაცმა, თუ სასულიერო პირნი თვალებს უნდა უსწორებდნენ რეალობას, საკუთარ სინდისს და პასუხს მივაგებდეთ დასმულ კითხვებს. წმიდა მამა ფილარეტ გოსკოველი ბრძანებს: „განათლებას მხოლოდ მაშინ მოაქვს საზოგადოებისთვის კეთილი ნაყოფი, როდესაც მას საფუძვლად უდევს რწმენა“.

მამა ბასილ! თქვენ ბრძანდებით ის სასულიერო პირი, რომელიც თამამად მიაგებთ პასუხს აღნიშნულ კითხვებს, როცა დავდგებით თითოეული ჩუენთაგანი განკითხვის ჟამს, რამეთუ მაშინ უფალი უვედრებელ არს.

„გარეგნული საქმეები სულიერი საქმეების ნაყოფია და კუთვნილს მიაგებს საღვთო განჩინებით“ (მარკოზ განშორებული).

მართლაც, სულიერი სიწმინდიდან მოდის თქვენ მიერ აღსრულებული ყოველი საქმე. ენას ვერ ძალუძს აღრაცხოს ღვაწლი ერისა, თუ სარწმუნოების წინაშე, რაც თქვენ ქვაკუთხედად დაგვიდეთ, რომელსაც ვერაფერი შეარყევს, პირიქით, გაივლის წლები, საუკუნეები და ჟამთა აღმწერელი ამცნებს, რომ იყო ერთი მეტად მორწმუნე სასულიერო პირი, რომელმაც გაიარა მიწიერი ჯვარცმა, ის არ ეშიშებოდა არანაირ ზეწოლას, დევნა-შევიწროებას, პატიმრობას. მაინც იღვწოდა, აშენებდა, ამშვენებდა საქართველოს ძლიერებისთვის, მომავალი თაობის სულიერი აღზრდისათვის, რამეთუ ჩვენამდე მოღწეული ტრადიციები, კულტურა, სარწმუნოება სწორედ ღირსეულ წინაპართა სისხლმა წერა და მოგვმადლა საამაყოდ. „ვისაც ღმერთი ირჩევს მსახურად, მას მოწამეობისათვის, ვნებისათვის ირჩევს“. ეს ყოველივე თქვენ გაიარეთ, დაიდგით „ეკლის გვირგვინი“ და ღვაწლმოსილი აგრძელებთ წინაპართა გზას, რომელიც მიგვაახლებს უფალს, ყოვლადწმიდა დედას, ზეციურ იერარქიას.

ღმერთის საამო საქმეს ბევრი აღასრულებს სხვადასხვა „დოზით“. თქვენ რასაც დაგეგმავთ, სიცოცხლის ფასად რომ დაგიჯდეთ, მაინც მოიყვანთ სისრულეში. ყოველთვის აღნიშნავთ, რომ თუ რაიმე მიაკელით საქმეს, დედა ღმრთისმშობელი „დაგსჯით“, როგორც შვილს. სწორედ ამან განაპირობა, რომ ერთმა სულიერმა მოძღვარმა მრევლთან ერთად მართლაც შეუძლებელი აღასრულეთ. საუბარია ამოდენა ტაძრის ჯერ აშენებაზე და მერე მოპირკეთებაზე. როცა ამ ურთულეს საქმეს შეეჭიდეთ, დედა ღმრთისამ ძალა და მადლი არ მოგაკლოთ, რამეთუ „ყოველგვარი სათნოების თავი ღმერთია, ისევე, როგორც დღის შუქისა – მზე“ (მარკოზ განშორებული).

თქვენ აღასრულეთ ყოველგვარი ღვთიური დავალება, რათა წვლილი დაგედოთ ერის ინტერესების, ტრადიციებისა და სარწმუნოების დაცვისათვის. ყოველთვის გვმოძღვრავთ: „დაწყევლილია კაცი, რომელსაც ადამიანის იმედი აქვს და ხორციელში ეძებს შემწეობას, და გულით კი შორდება უფალს“ (იერემია 17-5).

მიწიერ ცხოვრებაში თუ რაიმეს აღვასრულებთ, ნურვინ ეცდება თქვას: „ეს მე გავაკეთე“, რამეთუ ყოველივე ღმრთისაგან არს...

ამიტომაც დააყენეთ თქვენი სიცოცხლე ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, როცა სასწრაფო დახმარების ეკიპაჟს გადაუდებელ საოპერაციოდ უნდა გადაეყვანეთ (გულის ურთულესი ოპერაცია გადაიტანეთ), მაშინაც კი გულის ინფარქტით გუმბათის ხარაჩოზე იდექით და მორჩილებს, რომელთაც მოაპირკეთებინეთ ეკლესია, მითითებებს აძლევდით. ოპერაციის შემდგომ კლინიკური სიკვდილიც გადაიტანეთ, სულით განეშორეთ სხეულს, მოხვდით ჩვენი ეკლესიის დაუმთავრებელ გუმბათზე, ცრემლები მოგეძალათ და უფალმან დაგაბრუნათ უკან.

მადლით შემოსილო, დამაშვრალო, სამშობლოსა და სარწმუნოების ერთგულო მცველო, უძილო, ებგურო, უანგარო მოძღვარო გილოცავთ შობა-ახალ წელს, ხსენებას უდიდესი მამისა ბასილი დიდისა, რომელსაც ბაძავთ თქვენ.

გილოცავთ თქვენი დაბადებიდან 70-ე წლისთავს. იხარეთ, იბედნიერეთ თქვენს ერთგულ მეუღლესთან, შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად, თქვენს ერთგულ, სასულიერო ჭაპანის გამწევ მოძღვართან მამა ვახტანგთან (მარგიანი) მრავალრიცხოვან მრევლთან, თქვენდამი პატივისცემით გამსჭვალულ მართლმადიდებლებთან ერთად. ყველა ერთად ღმერთს შევთხოვთ თქვენს ჯანმრთელობას.

ვამაყობთ თქვენიც, რამეთუ მადლით და იმედით გვავსებს თქვენ გვერდით დგომა. ჩვენ კი ვეცდებით, ვაკეთოთ ის, რაც შეშვენის ქრისტიანობას, რათა თქვენც იამაყოთ ჩვენით.

იცოცხლეთ დიდხანს, რამეთუ კიდევ და კიდევ ჭირდებით უფალს მიწიერ ცხოვრებაში. სწორედ ახლა იწყება ის მძიმე პერიოდი, რათა გადაირჩეს ვინ რა გზას აირჩევს, ქრისტეს ეკლიან ბილიკს მიმყვანებელს ტაძრამდე, თუ ფართო, მხიარულებით მოცულ შარაგზას... მიმყვანებელს წარწყმედამდე.

თქვენ უნდა წარუძღვეთ ერის ჭეშმარიტ მორწმუნეთა სიმრავლეს, თქვენ, რომელსაც არანაირი მწიკული არ მიგიძღვით სჯულის კანონის დაცვაში, უფალს ამცნოთ, რომ ჩვენ საკმაოდა ვართ მართლმადიდებელნი, რათა სოდომ-გომორივით არ მოვისრათ, თუმცაღა საშიშროების წინაშე ვდგავართ.

**იხარეთ მამაო...**

*გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის*
*მოძღვარი მამა ვახტანგი (მარგიანი),*
*მადლიერი მრავალრიცხოვანი მრევლი*

# ქუთაისის თეატრის დირექტორი გადადგა

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი გადადგა. თამარ ლორთქიფანიძემ თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება თავად დაწერა.

თუ ვინ გახდება ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი, ამ კითხვაზე პასუხი თეატრალურ საზოგადოებას ყველაზე მეტად აინტერესებს.

დირექტორის პოსტი ქუთაისის თეატრში ამ დრომდე ვაკანტურია. თეატრალურ საზოგადოებაში უკვე სახელდება რამდენიმე კანდიდატი, თუმცა მათზე ხმამაღლა და საჯაროდ საუბარი არავის სურს.

ვინ დაიკავებს ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრის დირექტორის პოსტს, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

# ლანჩხუთში ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი დაარბიეს

ლანჩხუთში მდებარე ივერიის ღვთისმშობლის ტაძარში ვანდალური აქტი განხორციელდა. ტაძარში ბოროტმოქმედები შეიპარნენ და ტაძრის სარკმელი და სხვადასხვა ნივთები დაამტვრიეს.

შემთხვევის ადგილზე მივიდნენ სამართალდამცველები და საგამოძიებო მოკვლევა დაიწყეს. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით აღიძრა, რაც ნივთის განზრახ დაზიანებას გულისხმობს.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ლანჩხუთში ბოროტმოქმედებმა ტაძარი დააზიანეს. შარშან რამდენიმე ტაძარი და სავაჭრო ობიექტი ერთდროულად გაიქურდა. პოლიციამ ამ დანაშაულის მონაწილე რამდენიმე არასრულწლოვანი დააკავა, რომლებიც მალევე გაათავისუფლა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

ძვალ-სახსართა პრობლემები:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიგური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ერდოღანი: „რუსეთს სირიის დაშლა სურს“



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ რუსეთს სურს სირიის ტერიტორიაზე ლატაკიის დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნას.

ამ პროვინციაში ასადს ყველაზე მეტი მომხრე ჰყავს. რუსული ბაზაც აქაა განთავსებული.

– ლატაკიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებით რუსეთი სამხედრო ბაზას შეინარჩუნებს, შესაბამისად, შეინარჩუნებს პოზიციას ახლო აღმოსავლეთში, – ამბობს ერდოღანი.

ლატაკია მეორე მსოფლიო ომამდე მართლაც არსებობდა და ის საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ იყო. ერდოღანი თვლის, რომ ლატაკიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა რეალურია, ოღონდ ახლა უკვე რუსეთის პროტექტორატის ქვეშ.

– კრემლში უკვე ესმით, რომ ასადი თვით რუსეთის დახმარებითაც კი მთელი სირიის გაკონტროლებას ვერ შეძლებს. ამიტომაც განიხილება გეგმა ბ, ანუ ლატაკიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღორძინება, – აცხადებს თურქეთის პრეზიდენტი.

კრემლში ერდოღანის ბრალდებამ აღშფოთება გამოიწვია. პუტინმა განაცხადა, რომ ასადი, მიუხედავად შეცდომებისა, კანონიერი პრეზიდენტია. ის სირიელმა ხალხმა აირჩია და არა – მხოლოდ ლატაკიის მოსახლეობამ. შესაბამისად, არავითარი ლატაკიის დამოუკიდებლობა არ განიხილება.

– თუკი ასადი ხელისუფლებიდან წავა, ეს არა ძალისმიერი სცენარით, არამედ თავისუფალი არჩევნების გზით მოხდება. ამ შემთხვევაში მზად ვართ მას პოლიტიკური თავშესაფარი მივცეთ. რაც შეეხება ლატაკიის დამოუკიდებლობის აღდგენას, ეს სრული აბსურდია, – ამბობს პუტინი.

# მინსკში დონბასელი სეპარატისტების მომხრე დააპატიმრეს




ბელარუსის უშიშროებამ მინსკში ბელარუსის 35 წლის მოქალაქე დააპატიმრა. ის დონბასში სეპარატისტების მხარეს იბრძოდა.

მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

# მარის კუჩინსკისი: „ლატვიაში განათლება მხოლოდ ლატვიურ ენაზე უნდა იყოს!“



ლატვიის პრემიერობის კანდიდატმა მარის კუჩინსკისმა განაცხადა, რომ პრემიერად გახდომის შემთხვევაში რუსულ სკოლებს სახელმწიფო დაფინანსება შეუწყდებათ.

– თუკი რუსებს სურთ, განათლება მშობლიურ ენაზე მიიღონ, სპონსორი მოძებნონ! ლატვიაში განათლება მხოლოდ მშობლიურ, ლატვიურ ენაზე უნდა იყოს. სახელმწიფომაც მხოლოდ ლატვიური სკოლები უნდა დააფინანსოს, – აცხადებს კუჩინსკისი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# შოიგუ: ჩვენს ბირთვულ პოტენციალს აუცილებლად გავზრდით!



რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ განაცხადა, რომ 2016 წელს დაგეგმილია ბირთვული პოტენციალის მკვეთრი გაზრდა. კერძოდ, დასავლეთის მიმართულებით საბრძოლო მორიგეობაზე რაკეტული ჯარების სამი დივიზიის დაყენებაა ნავარაუდევი.

– მათ შეიარაღებაში ბირთვული იარაღი ექნებათ! – თქვა შოიგუმ.

ამერიკელი ექსპერტის კლარკის აზრით, რუსეთი კუნთების თამაშს განაგრძობს და დასავლეთს აშანტაჟებს.

პუტინს ორი მიზანი ამოძრავებს. პირველი და მთავარი ისაა, რომ შიდა პრობლემებიდან ყურადღება გარეთ გადაიტანოს, აქაოდა ეკონომიკური კრიზისი ჩემი შეცდომების გამო კია არა, ამერიკელების შეთქმულების შედეგიაო.

მეორე მიზანი ე.წ. „ახალი იალტის“ მოწყობაა, როცა დემოკრატიული მსოფლიო დაყაბულდება იმ სტატუს-კვოს დაკანონებაზე, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში დღეს არსებობს, კერძოდ, აღიარებენ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის, დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობას, ყირიმის ანექსიას, ხოლო უკრაინას აიძულებენ ნეიტრალურ და ფედერაციულ სახელმწიფოდ გადაიქცეს.

# დონბასში ლე პენის ხალხი ჩავიდა



დონბასში საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის (ლიდერი მარინ ლე პენი) დელეგაცია ჩავიდა.

ფრანგი სტუმრების ვოიაჟი მთლიანად რუსულმა მხარემ დააფინანსა. ფრანგებს ფსბ-ს გაძლიერებული ჯგუფი იცავს. სტუმრები ძირითადად იმყოფებიან როსტოვში. დონეცკში ისინი სამხედრო თვითმფრინავით ჩაიყვანეს და იქაურობა დაათვალიერებინეს. ფრანგმა სტუმრებმა დანგრეული დებალცევო, ილოვაისკი თუ სხვა ქალაქებიც დაათვალიერეს.

მარინ ლე პენის პარტიის წევრები აგროვებენ „უკრაინელთა სამხედრო დანაშაულის“ შესახებ, რათა შემდეგ საფრანგეთის პარლამენტში სათანადო მოხსენებით გამოვიდნენ და რუსეთის მიმართ სანქციების გაუქმება მოითხოვონ.

ფრანგული დელეგაციის ჩასვლას მორიგი სროლა მოჰყვა.

„დონბასელ მოლაშქრეთა ჯგუფი“ დანგრეულ დონეცკის აეროპორტის ტერიტორიაზე შეიჭრა და იქიდან პესკის მიმართულებით ცეცხლი გახსნა. უკრაინელთა მხრივ საპასუხო ცეცხლის გახსნის შემდეგ სეპარატისტების ჯგუფი ლიკვიდირებულ იქნა. რუსებმაც მათი გვამები ფრანგებს წარუდგინეს.

– აი, შეხედეთ, როგორ იცავენ უკრაინელები მინსკის შეთანხმებებს!

რტრ-ის ცნობის თანახმად, ფრანგულმა დელეგაციამ „უკრაინელთა სამხედრო დანაშაულის შესახებ“ საკმაო მასალები შეკრიბა.

უკრაინის დაზვერვის ცნობით, ფრანგების დონბასში ჩასვლა რუსული პროვოკაციის მხოლოდ ნაწილია. იანვრის ბოლოსა და თებერვლის დასაწყისში დონბასში სიტუაციის გამწვავებაა მოსალოდნელი.

– რუსეთი შეეცდება, მინსკის სამშვიდობო პროცესი ჩაშალოს და ეს უკრაინულ მხარეს გადააბრალოს! – ასკვნიან უკრაინელი მზვერავები.

# კადიროვი პუტინს: „რუსული ოპოზიცია უნდა დაიხვრიტოს!“



ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების მეთაურმა რამზან კადიროვმა რუსეთის დემოკრატიულ ოპოზიციას სამშობლოს მოღალატეები უწოდა.

გროზნოს ტელევიზიით გამოსვლისას კადიროვმა მიმართა პუტინს, რათა ოპოზიციონერები საჯაროდ დახვრიტონ.

– დღეს, როცა ჩვენს ქვეყანას უჭირს, როცა დღის წესრიგში რუსეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, ე.წ. ოპოზიციონერები დასავლეთის სპეცსამსახურების თამაშებს თამაშობენ. ისინი ოპოზიციონერები კი არა, ხალხის მტრები არიან და სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ, – ამბობს კადიროვი.

ჩეჩნეთის ხელმძღვანელის აზრით, ბორის ნემცოვის მკვლელობა ამერიკული სპეცსამსახურების ნახელავია. ასევე ამერიკელების მიერაა შეთითხნილი ვერსია, თითქოს ნემცოვის მკვლელობა მან, რამზან კადიროვმა, შეუკვეთა.

– ნემცოვი ამერიკის ჯაშუში იყო, მაგრამ თავისი პატრონების იმედები ვერ გაამართლა და რუსეთში ე.წ. „დემოკრატიული ტალღა“ ვერ ააგორა. ამერიკელებმაც ის მოკლეს, რათა ამით რუსეთში სიტუაცია კიდევ უფრო აერიათ, – აცხადებს კადიროვი.

# სტამბულში აფეთქება ისლამურმა სახელმწიფომ მოაწყო




თურქეთის მთავრობის ინფორმაციით ამოცნობილია კამიკაძე, რომელმაც სტამბულში აფეთქება მოაწყო. სავარაუდოდ, ის სირიის მოქალაქე და ისლამური სახელმწიფოს წევრი იყო.

– ჩვენი სპეცსამსახურების ყურადღების ქვეშ აღნიშნული პიროვნება აქამდე არ მოხვედრილა. ის სირიიდან თურქეთში ახლახან ჩამოვიდა, – აცხადებს თურქეთის პრემიერი დავუთოღლუ.

ტერაქტის მსხვერპლნი ძირითადად სტამბულში ჩასული გერმანელი ტურისტები აღმოჩნდნენ. თურქი კონტრმზვერავები ვარაუდობენ, რომ აფეთქება სტამბულში წარმოადგენდა შურისძიებას ლაიფციგში სირიელი ლტოლვილების დარბევის გამო.

# როგოზინი: „სერბეთმა ევროკავშირი უნდა დაივიწყოს“

რუსეთის ვიცე-პრემიერმა დიმიტრი როგოზინმა განაცხადა, რომ თუ სერბეთი ევროკავშირში შევა, ეს მას კარგს არაფერს მოუტანს.



– ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში სერბეთი კოსოვოს დაკარგვას უნდა შეეგუოს. ეს ერთი! მეორე: ევროკავშირში გაწევრიანება დაავალდებულებს სერბეთს, სირიელი ლტოლვილები მიიღოს, ეს კი ძალადობის ესკალაციით დასრულდება, უფრო დიდი მასშტაბის ძალადობით, ვიდრე კიოლნში მოხდა!

როგოზინმა აღნიშნა, რომ სერბეთი მუდამ რუსეთზე იყო ორიენტირებული. დღესაც სერბეთი ერთადერთი სლავური სახელმწიფოა, სადაც სლავური სოლიდარობის გრძნობა პოპულარულია. მოსახლეობის 75%-ს არა ევროპასთან, არამედ რუსეთთან დაახლოება სურს.

– მოვუწოდებ სერბეთის ხელისუფლებას, რომ მოსახლეობის სურვილს პატივი სცეს! ჩვენ სერბ ძმებს ხელგაშლილი მივიღებთ და გასაჭირშიც გვერდით დავუდგებით, – აცხადებს როგოზინი.


# განცხადებები

## მკურნალობა

● იყიდება 4-ოთახიანი 100 კვ.მ. ბინა, მე-16 სართულზე, აივნით, ხედით მტკვარზე. ფასი 70 000 დოლარი, მისამართი: ცაბაძის №1, ტელ: 557-64-80-71 ლუბა.

● დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, კიდურების, კუნთების, სახსრების დაავადებების, რადიკულიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, მასტიტის, საკვერცხეების ანთების, წითელი ქარის განკურნება უნიკალური ენერგეტიკული მეთოდით, ასაკის მიუხედავად. ეს ნამდვილია პრაქტიკულად გამოცდილი. მის.: აღმაშენებლის 93. ტელ: 599-97-85-46 ლევანი - სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულსარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ფაჩულიას მე-20 ორმაგი დუბლი



დალას მავერიკსმა დასანანი მარცხი იწვნია აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერ კლივლენდთან საშინაო მატჩში. ზაზა ფაჩულიამ კი სეზონის მე-20 ორმაგი დუბლი მოიხვეჭა და აშკარად დაჯაბნა საკუთარი ოპონენტი ცენტრები, თუმცა მისმა გუნდმა დამატებით დროში 107:110 წააგო.

ქართველმა ცენტრმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 32 წუთი გაატარა. ზაზა მაღალი შედეგიანობით ესროდა: 6-დან 4 ორქულიანი და 6-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. 14 ქულასთან ერთად ქართველმა ცენტრმა 12 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარება მიითვალა.

ფაჩულიამ აშკარად დაჯაბნა კლივლენდელი ცენტრი ტრისტან ტომპსონი, რომელმაც შეხვედრა 2 ქულით და 6 მოხსნით დაასრულა. მასპინძელთა სათადარიგო ცენტრმა – რუსმა ტიმოფეი მოზგოვმა 10 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა, მაგრამ მონაგარს მაშინ იხვეჭდა, როდესაც მოედანზე ზაზას შემცვლელი ჯამალ მაგკი იდგა.

დალასმა ოკლაჰომა სიტიში გადაინაცვლა, სადაც ამ დილით მორიგ მატჩს სანდერთან გამართავდა.

ფაჩულიას გუნდი დასავლეთ კონფერენციაში 22 მოგებითა და 17 მარცხით ისევ მე-5 ადგილზე იმყოფება.

# ოლ სტარი საქართველოშიც გაიმართება



ბოლო დროს დიდი აჟიოტაჟია ატეხილი ამერიკაში გასამართ ყველა ვარსკვლავის მატჩთან დაკავშირებით. მსგავსი შოუ ყველა ქვეყანაში იმართება და გამონაკლისი არც საქართველოს სუპერლიგაა.

23 იანვარს თბილისის ახალ სპორტის სასახლეში სუპერლიგის ყველა ვარსკვლავის მატჩი-აქცია გაიმართება, რომელშიც საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეები მიიღებენ მონაწილეობას. ტრადიციულად, მონაწილე გუნდების სასტარტო ხუთეულები გამოკითხვის შედეგად შეირჩევა. მეტოქეები რეგიონალური პრინციპით შეირჩევა – ერთმანეთს თბილისისა და რეგიონის წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული გუნდები დაუპირისპირდებიან.

ყველა ვარსკვლავის მატჩი-აქცია მხოლოდ სპორტული ღონისძიება არ გახლავთ და მას ყოველთვის ახლავს შოუს ელემენტები. 2016 წლის ოლ სტარში სუპერლიგის საუკეთესო კალათბურთელების გვერდით იქნება ცნობილი ქართველი არტისტი ბერა, რომელიც აუდიტორიის წინაშე თავისი ჰიტებით წარდგება.

ბერა ქართული კალათბურთის დიდი ქომაგია და სპორტის ამ სახეობის მხარდაჭერის გამოხატულებაა ის აქტიური კამპანია, რომელსაც ის ნბას ოლ სტარში ზაზა ფაჩულიას მხარდასაჭერად აწარმოებს. ბერას მიერ ნაკრების კაპიტნის თანადგომამ ფართო მასები მოიცვა, რის შემდეგაც სუპერლიგის ოლ სტარის ორგანიზატორებმა ქართველი მომღერალი თავის ღონისძიებაზე მიიწვიეს, რასაც ბერა სიამოვნებით დათანხმდა.

საკუთარი ფანების მრავალრიცხოვან არმიას, რომელიც საქართველოში ყველაზე დიდია, ბერა ქართული კალათბურთის მხარდასაჭერისკენ სუპერლიგის ოლ სტარზეც მოუწოდებს.

სუპერლიგის ვებ-გვერდზე გამოკითხვა უკვე დაიწყო და ნებისმიერ გულშემატკივარს შეეძლება მისთვის სასურველი კალათბურთელებისთვის ხმის მიცემა. გამოკითხვა 22 იანვარს, 12:00 საათზე დასრულდება.

გუნდების სასტარტო ხუთეულები გულშემატკივრების მიერ შეირჩევა: 2 უკანახაზელი, 2 ფორვარდი და 1 ცენტრი თითოეული გუნდიდან. ოლ სტარის მონაწილე გუნდების დარჩენილ 7-7 სათადარიგო კალათბურთელს კი მწვრთნელები შეარჩევენ.

„რეგიონის" მთავარი მწვრთნელი კოტე ტუღუში იქნება, ხოლო „თბილისს" დავით უსტიაშვილი უხელმძღვანელებს. ოლ სტარში მწვრთნელები სუპერლიგის ცხრილის საწყისი 2 წრის შემდეგ პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდებიდან – ბათუმიდან და ქუთაისიდან შეირჩნენ.

ყველა ვარსკვლავის მატჩთან ერთად თბილისის ახალ სპორტის სასახლეში ოლ სტარის თანმდევი კონკურსები გაიმართება სამქულიან სროლებსა და ეფექტურ გდებებში – ჩატენვებში.

სნაიპერთა კონკურსში მონაწილეობას სუპერლიგის სამქულიანების მსროლელი საუკეთესო 6 კალათბურთელი და გასული ოლ სტარის ანალოგიური კონკურსის გამარჯვებული აკაკი ლომოური მიიღებს. ჩატენვების კონკურსში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

# ლევან კობიაშვილი: „გულდასაწყვეტია, რასაც კახა ცხადაძისგან ვისმენთ"

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვასილ მაისურაძის გუნდი 2016 წლის 15-20 მარტს ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის ელიტ რაუნდში თბილისში ითამაშებს.

ქართველების მეტოქეები მე-3 ჯგუფში იტალიის, რუსეთისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ნაკრებები არიან.

აღმასრულებელი კომიტეტის დასრულების შემდეგ ლევან კობიაშვილმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

**ლევან კობიაშვილი:**

– ჩემი ინიციატივით, მწვრთნელები ახალ სახელფასო სისტემაზე გადავლენ. ყველა ნაკრებში მწვრთნელების ხელფასები გარკვეული პროცენტით შემცირდება, თუმცა დაწესდება ახალი, მაღალი საჰონორარო სისტემა, რომელსაც მწვრთნელი მინიმალური შედეგის მიღწევის შემთხვევაშიც მიიღებს. ეს იდეა მოიწონა აღმასკომმაც. ახალი სისტემა ორიენტირებულია შედეგზე.

***– ბოლო დროს პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ კახა ცხადაძეს ებრძვიან და მისი ეროვნულ ნაკრებს ჩამოშორება სურთ. ამის შესახებ განცხადებები თავად ცხადაძემ გააკეთა. რას გვეტყვით ამ ხმებზე?***

– ჩემთვის გაუგებარია, რატომ აგორდა ეს ხმები. როგორც უკვე გითხარით, ჩვენ ვმუშაობთ ახალ სახელფასო მოდელსა და სისტემაზე, რომელიც ამუშავდება როგორც ასაკობრივ, ისე ეროვნულ ნაკრებში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცხადაძესთან საუბარი მქონდა და გაუგებარია, რატომ წამოვიდა საჯაროდ ეს ყველაფერი კახას მხრიდან. ვფიქრობ, ეს სამართლიანი მოდელია და შედეგზეა ორიენტირებული. ცხადაძის მიზანი არის მე-3 ადგილზე გასვლა, მაგრამ ეს შედეგი არაფერს გვაძლევს, რადგან ამ პოზიციითაც კი ვერ გავდივართ მსოფლიოს ჩემპიონატზე.

კახას მწვრთნელობის მიმართ კითხვის ნიშნები არ გამჩენია, მინდა ის დაგვიდგეს გვერდით და იმუშაოს ნაკრებში. მას ჰქონდა მხარდაჭერა ჩვენი მხრიდან, ავუხსენით სიტუაცია და ფორმატი, როგორ ვაპირებთ სამომავლოდ მუშაობას. ახლა კი, რასაც მისი მხრიდან ვისმენ, ნამდვილად გულდასაწყვეტია.

***– სახელმწიფოს დახმარებით შეიქმნა ფონდი, მაგრამ რამდენიმე კლუბი უკვე წუწუნებს მსგავსი დაფინანსების გამო, რადგან თავად მეტის მოძიება შეეძლოთ.***

– ეს ფონდი ქართული ფეხბურთის ხელშეწყობისთვის შეიქმნა და მისი ერთ-ერთი მიმართულება უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებისთვის დახმარებაა. ამ შემთხვევაში საუბარია ერთიანი დაფინანსების სისტემაზე.

***– კერძოდ?***

– ფონდიდან კლუბებს გამოეყოფათ თანხა და შემდეგ მათ მარიფათზეა დამოკიდებული დამატებითი სახსრების მოძიება. ამას არავინ დაუშლის და უკეთესიც არის. ფონდის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ, კლუბები მუნიციპალიტეტებიდან ფულს ვერ მიიღებენ. კლუბებს იმდენი თანხა ჩაერიცხებათ, რაც სუნთქვის საშუალებას მისცემს, ხოლო რამდენად ღრმად ისუნთქებენ, უკვე მათზეა დამოკიდებული.

***– საუბარი იყო იმაზე, რომ ფედერაცია კონტრაქტს გააფორმებდა ვითიბი ბანკთან.***

– ფეხბურთის ფედერაცია სპონსორების მოზიდვის მიზნით სხვადასხვა კომპანიებთან მოლაპარაკებას აწარმოებს, მაგრამ ჯერ კონკრეტული შედეგი არ დამდგარა.

# წყალტუბომ ოლიმპს მოუგო

## ქორქია-საკანდელიძის მემორიალი სენსაციურად დაიწყო



მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის მემორიალური ტურნირი ქუთაისში მოულოდნელი შედეგით გაიხსნა.

წყალტუბომ, რომელიც მემორიალური ტურნირის ერთადერთი ა ლიგის გუნდია, სუპერლიგის საკმაოდ ძლიერი წარმომადგენელი ოლიმპი დაამარცხა.

სიმბოლურია, რომ ოლიმპელების დამარცხება პირადად სერგეი ალფიოროვის დამსახურებაა. უკრაინელმა უკანახაზელმა მიმდინარე სეზონის პირველი წრე სწორედ ოლიმპში გაატარა და მე-13 ტურის შემდეგ წყალტუბოში გადავიდა. ალფიოროვმა ყოფილ გუნდს 32 ქულა ჩაუგდო და წყალტუბოელებს 73:71 გაამარჯვებინა.

ოლიმპში დებიუტი ჰქონდა ამერიკელ ცენტრ ლესლი სმიტს, რომელმაც 17 ქულა და 17 მოხსნა მიითვალა, ასევე პირველი მატჩი ჩაატარა თბილისურ გუნდში ლაშა ფარღალავამ, რომელიც ირანის ჩემპიონატიდან დაბრუნდა.

მეორე მატჩში ერთმანეთს სუპერლიგის ლიდერი ბათუმი და სოხუმი დაუპირისპირდნენ. აჭარულმა გუნდმა შესანიშნავად ჩატარებული პირველი ტაიმის წყალობით გაიმარჯვა. ბათუმელებმა საწყისი პერიოდი 26:20 მოიგეს, მეორეში 23:11 იმარჯვეს და დიდი შესვენებისთვის 18 ქულით დაწინაურდნენ – 49:31.

მეორე ნახევარში სოხუმელებმა თამაში გამოასწორეს, თუმცა არა იმდენად, რომ მატჩის ბედი წაღმა დაეტრიალებინათ. ბათუმელები გამარჯვებამდე ზედმეტი გართულებების გარეშე მივიდნენ და ჯგუფური ეტაპი წარმატებით დაიწყეს – 87:77. ბათუმში 18 ქულით საუკეთესო იყო იგორ კრივცოვი, ნიკა რამიშვილმა და აკაკი დვალიშვილმა კი 15-15 ქულა მიითვალეს.

მემორიალის მესამე მატჩში რუსთავმა, რომელიც, სუპერლიგის ცხრილით თუ ვიმსჯელებთ, ბევრად ჩამორჩება მგზავრებს, ძალიან იოლად მოიგო.

რუსთაველებმა ცოტა ხნის წინ 2 ლეგიონერი ჩამოიყვანეს – ნიგერიელი ალექს ადედირანი და ამერიკელი დევიდ კაილსი. კაილსმა მგზავრებს 18 წუთში 16 ქულა ჩაუგდო, რასაც სერბმა ნიკოლა გაჩეშამ 20 ქულა მიაბა და რუსთაველებმა მეტოქე 37 ქულით გაანადგურეს – 90:53.

პირველი ტურის ბოლო შეხვედრაში ერთმანეთს მასპინძელი ქუთაისი და აკადემია დაუპირისპირდნენ. მატჩი მოლოდინისამებრ ქუთაისელთა გამარჯვებით – 92:80 დასრულდა.

გარდამტეხი გამოდგა მესამე პერიოდი, რომელიც მასპინძლებმა 26:10 მოიგეს, მანამდე კი ქუთაისელები მცირე უპირატესობით იგებდნენ. პირველი პერიოდის 22:29 წაგების შემდეგ აკადემიელებმა მეორე ათწუთეული 25:21 მოიგეს და დიდი შესვენებისთვის ქუთაისელთა ლიდერობა მხოლოდ 3 ქულას შეადგენდა.

გიორგი ბარბაქაძის შედეგიანობით იმერულმა გუნდმა მესამე მეოთხედი 16 ქულით მოიგო, აკადემიის წინააღმდეგობა გატეხა და გამარჯვებამდეც აუღელვებლად მივიდა. ქუთაისელთა გუნდში დებიუტი ჰქონდა ხორვატ ლეგიონერ ივან მიკულიჩს, რომელმაც თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინა – 12 ქულა, 5 მოხსნა და 5 პასი მიითვალა. გამარჯვებულთა ბომბარდირი კი 29 ქულის მომხვეჭი გიორგი ბარბაქაძე გახდა.

# წყალბურთელთა მეორე მარცხი

სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ვაჟ წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა მეორე შეხვედრა გერმანიის ნაკრებთან გამართა და ანგარიშით 9:11 (3:1, 3:4, 2:3, 1:3) დამარცხდა.

აღსანიშნავია, რომ ქართველმა წყალბურთელებმა მეტოქეს პირველი ტაიმი მოუგეს (6:5), მესამე მეოთხედის შემდეგ კი ანგარიში თანაბარი იყო, მაგრამ დასკვნითი 8-წუთეული და მატჩი დათმეს.

იოვან პოპოვიჩისა და ვლადიმერ ისელიძის მიერ გაწვრთნილ გუნდში გატანილი გოლებით მარკო ელეზი (3), დამირ ცრეპულია (3), ზურაბ რურუა (2) და მარკო ელაჩა გამოირჩნენ.

შეგახსენებთ, რომ ტურნირზე პირველი მატჩი ქართველმა წყალბურთელებმა რუმინეთთან 6:12 წააგეს, ჩვენი ნაკრები ც ჯგუფში ბოლო მატჩს 15 იანვარს იტალიელებთან გამართავს, რომლებიც ჯგუფის უდავო ფავორიტები არიან, შემდეგ კი, ბრძოლას მე-9-მე-16 ადგილებისთვის გააგრძელებენ.

## შედეგები

**12 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-კრ.პალასი ................. 1:0
ბორნმუთი-ვესტ ჰემი ..................... 1:3
ნიუკასლი-მანჩესტერი ................... 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 20 | 13 | 3 | 4 | 34-18 | 42 |
| 2.ლესტერი | 20 | 11 | 7 | 2 | 37-25 | 40 |
| 3.სიტი | 20 | 12 | 3 | 5 | 39-21 | 39 |
| 4.ტოტენჰემი | 20 | 9 | 9 | 2 | 34-16 | 36 |
| 5.ვესტ ჰემი | 21 | 9 | 8 | 4 | 33-24 | 35 |
| 6.მანჩესტერი | 21 | 9 | 7 | 5 | 27-20 | 34 |
| 7.კრ.პალასი | 21 | 9 | 4 | 8 | 23-20 | 31 |
| 8.ლივერპული | 20 | 8 | 6 | 6 | 22-24 | 30 |
| 9.უოტფორდი | 20 | 8 | 5 | 7 | 25-22 | 29 |
| 10.სტოკი | 20 | 8 | 5 | 7 | 21-21 | 29 |
| 11.ევერტონი | 20 | 6 | 9 | 5 | 36-29 | 27 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 20 | 7 | 5 | 8 | 20-25 | 26 |
| 13.საუთჰემპტონი | 20 | 6 | 6 | 8 | 26-24 | 24 |
| 14.ჩელსი | 20 | 6 | 5 | 9 | 26-29 | 23 |
| 15.ნორვიჩი | 20 | 6 | 5 | 9 | 23-32 | 23 |
| 16.ბორნმუთი | 21 | 5 | 6 | 10 | 23-37 | 21 |
| 17.სუონსი | 20 | 4 | 7 | 9 | 17-26 | 19 |
| 18.ნიუკასლი | 21 | 4 | 6 | 11 | 22-38 | 18 |
| 19.სანდერლენდი | 20 | 4 | 3 | 13 | 22-39 | 15 |
| 20.ასტონ ვილა | 21 | 2 | 5 | 14 | 17-37 | 11 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბლექბერნი-ქპრ ................................ 1:1
ბრენტფორდი-მიდლსბრო .............. 0:1
ბრისტოლი-პრესტონი ..................... 1:2
დერბი-რედინგი ................................ 1:1
ჰადერსფილდი-ჩარლტონი ............ 5:0
იფსვიჩი-ლიდსი ................................ 2:1
მილტონი-ბარნლი ........................... 0:5
ნოტინგემი-ბირმინგემი .................. 1:1
როტერჰემი-ბრაიტონი .................... 2:0
უენსდი-ბოლტონი ........................... 3:2
ვულვზი-ფულემი ............................. 3:2

**ესპანეთი. სამეფო თასი**

დეპორტივო-მირანდესი ................. 0:3
სევილია-ბეტისი .............................. 4:0

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ტაილანდში პითონმა ტურისტს ცხვირზე უკბინა



ტაილანდის კუნძულ პხუკეტის სამხრეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთ პარკში პითონმა ჩინელ ტურისტს, რომელიც შეეცადა მისთვის ეკოცნა, ცხვირზე უკბინა. ინციდენტი გველების მონაწილეობით გამართული შოუს დროს მოხდა.

29 წლის გოგონამ, რომლის ვინაობა უცნობია, გამოკვლევა პხუკეტის საერთაშორისო საავადმყოფოში გაიარა. ჩინელ გოგონას რამდენიმე ნაკერი დაადეს ცხვირზე. აღნიშნული სახეობის გველი შხამიანთა რიგს არ განეკუთვნება და ამიტომ ტურისტი გოგონას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ის ჯანმრთელობის აღდგენის კურსს ერთ-ერთ ადგილობრივ სასტუმროში გადის.

მომხდარის ვიდეოჩანაწერი, რომელიც იუთუბის საკუთარ არხზე ბლოგერმა სტივ ლეინმა განათავსა, უკვე 25 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა. ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ კბენს ცხვირზე გოგონას პითონი, რომელიც გასართობი შოუს მონაწილეს ხელში უკავია. ვიდეოს აღწერილობაში გოგონას ცზინ ცზინი უწოდეს.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ კომპანიამ, რომელიც შოუს ჩატარების უფლების მფლობელია, დაზარალებულ გოგონას 3,2 ათასი დოლარი გადაუხადა კომპენსაციის სახით.

## რუდი გარსია რომას მწვრთნელი აღარ არის



იტალიურ რომაში ცვლილებების დრო დადგა. გუნდმა ბოლო 10 შეხვედრაში მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო ცხრილში თავისი მდგომარეობა საგრძნობლად გაიუარესა.

ამ ყველაფერს მთავარი მწვრთნელის რუდი გარსიას თანამდებობიდან განთავისუფლება მოჰყვა, რაც რომას პრეზიდენტმა ჯეიმს პალოტამ ოთხშაბათს ოფიციალურად დაადასტურა.

პალოტამ განაცხადა, რომ გარსიამ რომასთვის ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ მისი დრო ამოიწურა და რომას ახალი მწვრთნელი სჭირდება.

რომას ახალი დამრიგებელი შესაძლოა ლუჩიანო სპალეტი გახდეს, რომელიც რომაულ გუნდში 2005-2009 წლებში მუშაობდა.

იტალიურ პრესაში წერენ, რომ სპალეტის რომაში დაბრუნება თითქმის გადაწყვეტილი ამბავია.

## რონალდუს ძეგლს მესის გვარი და ნომერი დააწერეს

კრიშტიანო რონალდუს მშობლიურ ქალაქ მადეირაში რამდენიმე უცნობმა პირმა რონალდუს ძეგლს მესის გვარი და 10 ნომერი დააწერა.

პოლიციამ ამ საქმეზე გამოძიება ხულიგნობის მუხლით დაიწყო, თუმცა ჯერჯერობით დაკავებული არავინ არის.

ბუნებრივია, ამ ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და თუ ჭორებს დავუჯერებთ, რონალდუ იმდენად განარისხა ამ ფაქტმა, რომ ის შეიძლება ნაკრებიდანაც წავიდეს. კრიშტიანო რონალდუს ძეგლი მაისში დადგეს და მადრიდის რეალის ვარსკვლავმა განაცხადა, რომ ამ ფაქტით ძალიან ამაყობდა.

არ არის გამორიცხული, ამ ისტორიას რამე გაგრძელება მოჰყვეს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

სპორტი

## ლევან მჭედლიძეს ტრავმა ისევ ვერ მოირჩინა



იტალიური ემპოლის ქართველი ლეგიონერი ლევან მჭედლიძე კვლავ ტრავმირებულია. ლევანმა ტრავმა სექტემბერში ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ თამაშის დროს მიიღო და მას შემდეგ მოედანზე არ გამოსულა.

მჭედლიძე ჯერ კიდევ ნოემბერში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ მას ტრავმა რამდენჯერმე გაუმიზეზდა.

17 იანვარს ემპოლი ვერონაში ადგილობრივ კიევოს დაუპირისპირდება და ამ შეხვედრაში მჭედლიძის თამაში ძალიან საეჭვოა, რადგან ლევანს ისევ აწუხებს კუნთი და ბოლომდე მზად არ არის.

ემპოლის პრეზიდენტმა ფაბრიციო კორსიმ განაცხადა, რომ მჭედლიძის დაბრუნებას მოუთმენლად ელის.

## ლუის ადრიანო კარიერას ჩინეთში გააგრძელებს



მილანის აწ უკვე ყოფილი ფორვარდი, ბრაზილიელი ლუის ადრიანო კარიერას ჩინურ გუნდ ჯიანგსუ საინტში გააგრძელებს.

ლუის ადრიანო მილანში წლევანდელი სეზონის დასაწყისში გადავიდა, მაგრამ 18 თამაშში მხოლოდ 3 გოლის გატანა შეძლო და ბოლო პერიოდში ძირითად შემადგენლობაშიც დაკარგა ადგილი.

ჩინეთში ბრაზილიელი ფეხბურთელი ანაზღაურების სახით წელიწადში 6 მილიონ ევროს მიიღებს.

შესაძლოა, ამ ფაქტორმა ლუის ადრიანოს არჩევანში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ჯიანგსუ საინტს ეს ტრანსფერი 14 მილიონი ევრო დაუჯდა.

## ბრიტანელ ნარკომანს ველოსიპედებთან მიახლოება აუკრძალეს



ჯონ ლიდკოუტი პირველი ბრიტანელი გახდა, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე აუკრძალეს არა თუ ველოსიპედით სეირნობა, მასთან ოთხ მეტრამდე მანძილზე მიახლოებაც კი.

47 წლის ჰეროინზე დამოკიდებულ ნარკომანს სამწლინახევრიანი პატიმრობა შეუფარდეს, მის მიერ ჩადენილი ბოლო ქურდობის გამო. საქმის სასამართლო მოსმენისას გაირკვა, რომ მამაკაცს 48 ნასამართლეობა ჰქონდა 142 ეპიზოდზე, მათ შორის ველოსიპედების მრავალრიცხოვანი ქურდობა. მოსამართლის განცხადებით, ლიდკოუტი იპარავს ყველაფერს, რაც კი ცუდად დევს, მას საკუთარი თავის გაკონტროლება არ ძალუძს და საკუთარ შეცდომებზე არ სწავლობს.

თუ ის განთავისუფლების შემდეგ აკრძალვას დაარღვევს ველოსიპედით სარგებლობაზე, ან მას მიუახლოვდება, მას ხუთწლიანი პატიმრობა ემუქრება. მას საკუთარი ველოსიპედის ქონა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება, თუ ხელთ ექნება იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ ის მის საკუთრებას წარმოადგენს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი".



## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური

სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები", მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.



ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს"

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**


## ასტროპროგნოზი
### 14 იანვრისთვის



**ვერძი** – დაძაბული პერიოდია. ინტრიგები დილიდანვეა მოსალოდნელი. უეცარი დაბრკოლება თქვენს საქმეებზე უარყოფითად აისახება. **კურო** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. სიახლეების ნუ შეგეშინდებათ. **ტყუპები** – საქმიანი აქტივობისათვის შეუფერებელი დღეა. მოშურნეები ყველანაირად ხელს შეგიშლიან. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **ლომი** – ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან ცუდი ურთიერთობა გაქვთ. ნუ აჰყვებით ჭორებს და ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ქალწული** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **სასწორი** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, ივარჯიშეთ. აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. ბუნების წიაღში გასვლა ნერვებს დაგიწყნარებთ. **მშვილდოსანი** – თქვენთვის დამახასიათებელი კომუნიკაბელურობის წყალობით საქმიანი პარტნიორების ყურადღებას მიიპყრობთ და ახალ მოკავშირეებსაც გაიჩენთ. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თხის რქა** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **მერწყული** – ფინანსური საკითხები წარმატებით გადაწყდება. დაიცავით ზომიერება ნებისმიერი მოქმედებისას. **თევზები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის. დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ლითონის ფულის ერთ-ერთი მხარე; 2. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 3. ჭადრაკის წინამორბედი, ინდური მაგიდის სათამაშო; 4. დიპლომატიური კურიერის სპეციალური, დალუქული ხელჩანთა; 5. განსაკუთრებით ძვირფასი, სამახსოვრო ნივთი; 7. ესპანური ტანსაცმლის მწარმოებელი ფირმა; 11. სპორტული სწრაფმავალი ერთადგილიანი მოტორიანი ნავი; 13. იტალიური ვერმუტი; 15. ჭაობის სანაპიროებთან ბინადარი გრძელნისკარტა ფრინველი; 16. უზენაესი ღვთაება ინდუიზმში; 18. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 19. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. ნიადაგის ნგრევა, ჩამოშლა; 8. აზიის სტეპებში გავრცელებული ანტილოპა; 9. ფიჭიანი თაფლი; 10. ლირიკული ხასიათის ვოკალური ნაწარმოები; 12. ქართველი მწერალი, „გმირთა ვარამის" ავტორი; 14. ქართული ნაციონალური კერძი; 17. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის ნაწილი; 20. ნახევარკუნძული ევროპაში; 21. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 22. ქრისტიანთა წმინდა წიგნი; 23. სვანური ციხე-კოშკი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კომედია; 2. ბუღა; 3. ბუერი; 4. პილონი; 6. ჩოქბჯენი; 9. ბეკონი; 13. პოპლიკა; 14. გაუტამა; 15. „ჰენესი"; 17. ურალი; 18. სკოტი; 20. „პელე".

**თარაზულად:** 1. კუბდარი; 5. „პანჩი"; 7. ბულიმია; 8. მაღრიბი; 10. ეპოქა; 11. რანჩო; 12. ასკილი; 16. „საბენა"; 17. უელსი; 19. პერო; 21. ფელინი; 22. ფლინტი; 23. დინარი; 24. საუზმე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პოლიცია; 2. შაკირა; 3. გარიბალდი; 4. კონერი; 5. ვარიანტი; 7. რური; 11. მესხეთი; 13. ნიორაძე; 15. სესხი; 16. „ნოკია"; 18. ათოსი; 19. რიტმი.

**თარაზულად:** 6. ოფორტი; 8. ბარხანი; 9. სენგერი; 10. ცინიზმი; 12. მარჟა; 14. ჭიბონი; 17. დრომადერი; 20. ყეენობა; 21. სხვენი; 22. „სტამპა"; 23. შანსონიე.

# ვოისის გამარჯვებული გიორგი ნადიბაიძე გახდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ხვაობა მოყვა და ყველამ ერთხმად დაიწყო იმის მტკიცება, რომ გიორგის ქეთამ გაამარჯვებინა და მოსკოვიდან საქართველოში ჩამოსულმა მომღერალმა პროექტის მოსაგებად ბევრი ფული ჩადო. ეს მოსაზრება ანრის სიტყვებმაც გაამყარა, როდესაც თავისი კონკურსანტის გამოსვლის შემდეგ განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, ის არ იყო მილიონერი...“

გამარჯვებულ გიორგი ნადიბაიძეს და მის მწვრთნელს პროექტის ავტორებმა ვოისის ქანდაკება უსახსოვრეს. ქეთას კუთვნილი პრიზი დუტა სხირტლაძემ მის მეუღლეს ლევ გეიხმანს გადასცა, რომელიც დარბაზში იმყოფებოდა და ფინალურ შოუს ადევნებდა თვალყურს. გამარჯვებულ გიორგი ნადიბაიძეს კი გადაეცა 3 ოთახიანი ბინა არქი დიღომში.

პრიზებისა და ჯილდოების გარეშე არც შოუს დანარჩენი ფინალისტები დარჩენილან: კრედიტიონ ჯის გამოკითხვის გამარჯვებული გახდა შოთიკო ტატიშვილი, მას გადაეცა 10 000 ლარი;

ტელეკომპანია იმედმა ვანო ტურაბელიძეს აჩუქა ორკაციანი საგზური ეგვიპტეში;

აჭარანეტის გამოკითხვის ლიდერები გახდნენ შოთიკო ტატიშვილი და ბაკო ალანია, მათი რჩეული კი სალომე დოლიძე. მათ გადაეცათ სამსუნგ გალაქსი ნოუთ 5;

ფორტუნა პლიუსის და ავტორადიოს რჩეულად დასახელდა სალომე დოლიძე და მან მიიღო საგზური ქორდფლეის კონცერტზე;

„ნატალი ჯგუფის“ რჩეული გახდა სალომე დოლიძე, მას გადაეცა 1000 ლარიანი ვაუჩერი, ფინალისტ ბიჭებს კი ვაუჩერები ჯერმანი დე კაპუჩინის სპისგან;

ქეთა თოფურიამ კი ქეთი ბერიძეს ოცნება აუსრულა – ის ცხვირის ოპერაციას გაიკეთებს.

გიორგი ნადიბაიძე პირველი კონკურსანტი ბიჭი გახდა, ვინც ვოისი მოიგო. ორივე სეზონი დათო ფორჩხიძის გუნდის წევრებმა მოიგეს, პირველი სეზონის გამარჯვებული სალომე ქათამაძე გახდა, მეორე სეზონი კი მარიამ ჩაჩხიანმა მოიგო.

# ნანი ბრეგვაძე რუსეთს დაუბრუნდა



მომღერალმა ნანი ბრეგვაძემ დადებული პირობა დაარღვია და რუსეთს დაუბრუნდა. 2008 წლის ომის შემდეგ მან უარი განაცხადა რუსეთში ჩასვლასა და კონცერტების გამართვაზე, მაგრამ ეს პირობა დაარღვია და ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად მონაწილეობს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში დაგეგმილ კონცერტებში.

ნანი ბრეგვაძემ საკონცერტო ტურნე ახალი წლის დადგომასთან ერთად განაახლა. სანკტ-პეტერბურგში მომღერლის საღამო დაიგეგმა და ბილეთებიც ელვის სისწრაფით გაიყიდა.

კონცერტში მონაწილეობდნენ ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, ნატალია ქუთათელაძე, ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით. საღამოზე ნანი ბრეგვაძის რეპერტუარიდან საუკეთესო სიმღერები შესრულდა.

# „მანდარინები“ ესპანეთის პრესტიჟულ ჯილდოზე წარადგინეს



ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“ ესპანეთის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოზე წარადგინეს. „ოქროს გლობუსის“ და „ოსკარის“ ნომინანტი ფილმი ქართულ-ესტონური კოპროდუქციაა და 30-ზე მეტი საერთაშორისო ჯილდო და პრემია აქვს მოპოვებული. პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი პრემია ფილმმა ვარშავის ა კლასის კინოფესტივალზე მიიღო.

ქართველი რეჟისორის ფილმი ახლა გაუდ ავარდსის ნომინანტთა სიაში მოხვდა. იგი საუკეთესო ევროპული ფილმის ჯილდოსთვის იბრძოლებს. „მანდარინებთან“ ერთად ამავე ნომინაციაში კიდევ 3 ევროპული ფილმია წარდგენილი:

გაუდ ავარდსი ესპანეთში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა, რომელიც კატალონიის კინოაკადემიამ დააარსა და 2009 წლიდან გაიცემა.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი 31 იანვარს ბარსელონაში გაიმართება.

# დავით დეფის ისევ აგინებენ



ბოლო პერიოდში ნოველისტი და პოეტი დავით დეფი ხშირად ხდება ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლი. რამდენიმე თვის წინ მას მაღაზიაში დაესხნენ თავს და სცემეს, ახლა კი სიგარეტის მოსაწევად ფანჯარაში მდგომს წინა კორპუსიდან აგინეს.

**დავით დეფი:**

– ერთი და იგივე შიზოფრენია გაუთავებლად. ისევ ჩემი ლანძღვა, ისევ შეურაცხყოფა, ისევ გინება, ისევ ზიზღი. ამჯერად ფიზიკური თავდასხმის გარეშე. მოკლედ ასეთი ამბავია, დღეს საღამოს, ჩემ სახლში, ფანჯარასთან ვიდექი, ვეწეოდი სიგარეტს, სახლში ჩემი ცოლი იყო და ჩემი შვილი. მოპირდაპირე შენობიდან, ვიღაც ჯეელებმა, აზრზე არ ვარ ვინ არიან, დამიწყეს გინება. მათი სახეები სიბნელეში ვერ დავინახე. დავრეკე პატრულში. მოვიდა პატრული. მერე მოვიდა დეტექტივიც. ახლა გამოძიება მიმდინარეობს. მე მაგრად ვარ. ჩემი დარდი არ გქონდეთ. მშვიდ ღამეს გისურვებთ.

# ჭიათურის თეატრი 120 წლისაა



ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი 120 წლისაა. 14 იანვარს ქართული თეატრის დღეს ამ თარიღთან დაკავშირებით, იუბილარ თეატრში კულტურული ღონისძიებები გაიმართება.

ღონისძიების ფარგლებში, ჭიათურის თეატრის 120 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა მოეწყობა, სადაც წარმოდგენილი იქნება ფოტოები, კოსტიუმები და სხვადასხვა მუზეუმში დაცული საარქივო მასალა.

ჭიათურის თეატრის დასი წარმოადგენს დადგმას, რომელიც თეატრის ისტორიას ასახავს. ჩატარდება გასული წლის ქართული თეატრის საერთაშორისო თუ ადგილობრივი წარმატებების მიმოხილვა და პრეზენტაცია.

ღონისძიების დასკვნით ნაწილში გაიმართება დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც გაიცემა 18 პრემია, მათ შორის სახელობითი პრემიები განსაკუთრებული ღვაწლისთვის სანდრო ახმეტელის, კოტე მარჯანიშვილის, ვერიკო ანჯაფარიძის, პეტრე ოცხელის, ასევე სპეციალური პრიზი და ყოველწლიური ჯილდოები წლის საუკეთესო სპექტაკლისთვის, მსახიობებისთვის, რეჟისურისთვის.

დაჯილდოების ცერემონიას მუსიკალურად გააფორმებენ ქართული ესტრადის და თეატრის წარმომადგენლები, რომლებიც შეასრულებენ სიმღერებს სხვადასხვა ცნობილი ქართული სპექტაკლებიდან. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მაია ჯაბუა, ეკა კახიანი, ანრი ჯოხაძე, გიორგი სუხიტაშვილი, მაკა ზამბახიძე, თეატრის მსახიობები და ოპერის მომღერლები.

ღონისძიების დასასრულს, თეატრის ტერიტორიაზე ჭიათურის თეატრის ღვაწლმოსილი მსახიობის როდერ ჩაჩანიძის ვარსკვლავი გაიხსნება.

# გურამ საღარაძეს 87 წელი შეუსრულდებოდა



ქართული თეატრისა და კინოს გამორჩეულ ქართველ მსახიობს გურამ საღარაძეს 87 წელი შეუსრულდებოდა. მისი დაბადების დღე ოჯახის წევრებმა დიდუბის პანთეონში, ხელოვანის საფლავზე შეკრებით აღნიშნეს.

გურამ საღარაძემ მთელი თავისი ცხოვრება რუსთაველის თეატრში იმუშავა. მხატვრული კითხვის დიდოსტატმა არაერთი ახალგაზრდა აზიარა პოეზიის სიღრმისეულად აღქმას.

არაერთი ჯილდოსა თუ პრემიის მფლობელისთვის უმთავრესი საჩუქარი ერთგული მაყურებლის სიყვარული იყო, რომელიც მას არასოდეს აკლდა. რუსთაველის თეატრის წინ მის იუბილესთან დაკავშირებით სახელობითი ვარსკვლავი საზეიმოდ გაიხსნა.

გურამ საღარაძე 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან უკანასკნელი დაბადების დღე რუსთაველის თეატრის სცენაზე სპექტაკლში „მოხუცი ჯამბაზები“ მონაწილეობით აღნიშნა. რამდენიმე დღეში კი საკუთარ სახლში გარდაიცვალა. ხელოვანი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

ქართული პოეზიისა და პროზის მხატვრული კითხვის დიდოსტატის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა აუდიო და ვიდეო ჩანაწერების დიდი ალბომი, რომლის მომზადება ჯერ კიდევ სიცოცხლეში თავად გურამ საღარაძეს ჰქონდა დაწყებული. მან არაერთი ჩანაწერი გააკეთა გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე. ალბომში თავმოყრილია გურამ საღარაძის სხვადასხვა დროს წაკითხული ქართული პროზისა და პოეზიის მარგალიტები და უნიკალური ვიდეო ჩანაწერები მისი შემოქმედებიდან.

# ბათუმის თოჯინების და მოზარდმაყურებელთა თეატრი იხსნება

სამწლიანი სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრი იხსნება.

რეაბილიტირებული შენობა 14 იანვარს ქართული თეატრის დღეს გაიხსნება. თეატრის დირექტორის მედეა ჩარკვიანის განცხადებით, შენობაში სარემონტო სამუშაოები დაახლოებით სამი წელი მიმდინარეობდა. ამ დროის განმავლობაში შეიცვალა სცენის მთლიანი აგებულება, გახმოვანება-განათების სისტემა დამონტაჟდა, შენობას ერთი მანსარდული ტიპის სართული და სარდაფი დაემატა, სადაც ალტერნატიული სცენის მოწყობაა შესაძლებელი.

თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრს 150-ის ნაცვლად 187 პატარა მაყურებლის მასპინძლობის საშუალება ექნება. თეატრში, ასევე, საზაფხულო ღია სცენა განთავსდა, რომელიც 50-60 ვიზიტორისთვისაა გათვლილი.

განახლებული თეატრი მე-80 საიუბილეო სეზონზე პატარა მაყურებელს რეაბილიტირებულ შენობაში უმასპინძლებს და პრემიერასაც შესთავაზებს. რეჟისორი ოთარ ქათამაძე სპექტაკლ „კოკროჭინას“ საპრემიერო ჩვენებას წარმოადგენს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*


# სამგლოვიარო განცხადებები



ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენლის, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ლეგენდარული ანსამბლის პირველი თაობის ღვაწლმოსილი მოცეკვავისა და წამყვანი სოლისტის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, უახლოესი მეგობრისა და კოლეგის

**გივი სურვილაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

*ვალიკო მაისურაძე, თენგიზ უთმელიძე*

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამგეობის თანამშრომლის სერგო მანჯგალაძის მეუღლის

**ციალა ბიჩინაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და მის ახლობლებს.

სამშობიარო „იმედის კლინიკის“ თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ღვაწლმოსილი ექიმის

**თემურ არაბიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**


# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 14 იანვარი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "ტრანსმისია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "მუსიკალოგოსი" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "შობის დღესასწაული ჯეიმი ოლივერთან ერთად" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** ქართ. მხ/ფ "**შერეკილები**" **21.45** "ეპოქის ფრაგმენტი" **21.50** კონცერტი: სულხან ცინცაძის კინომუსიკა **23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**გრაფინია ჰონკონგიდან**" (მ.ბრანდო)

**08.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **08.45** ვენის სიმპონიური ორკესტრის საახალწლო კონცერტი **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** ქართ მოკ. მხ/ფ "**სუფთა დაფა**" **10.40** მხ/ფ "**სიღარიბესა და სიმდიდრეში**" **12.35** კონცერტი: ანსამბლი მძლევარი" **20** წლის იუბილე **13.45** ქართ. მხ/ფ "**შეხვედრა მთაში**" **15.30** მხ/ფ "**ჩრდილოეთის ირმის დაბრუნება**" **18.00** თელავის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი – ელისო ვირსელაძე **19.35** ქართ. მოკ. მხ/ფ "**ქორწილი**" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.55** მიშა მდინარაძე" საშობაო კონცერტი **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** ქართ. მხ/ფ "**ცისფერი მთები ანუ" დაუჯერებელი ამბავი**"

**06.00, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **11.20** სერ. "**კონტრაქტის პირობები**" **1** სერ. **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** ილო ბეროშვილის შოუ (**02.01.2016**) **01.00** მხ/ფ "**სნაიპერი**" (ტ.ბერენჯერი) **03.10** ერთხელ საქართველოში **04.30** მხ/ფ "**შიშველი პისტოლეტი - 2**" (ლ.ნილსენი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.40** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.55** სერ. "**აღთქმა**" **22.00** კომედის კონცერტი **2016 00.00** კონცერტი "შვიდკაცა" **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.15** ჩვენი ფონდი **06.40** პატერიკი-"რატომ აღიკვეცა ბერად ერთი ქრისტიანი" **06.50** დეკორატიული ფლორა **07.05** ქართული ალბომი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ზაზუნას დღე**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ასპარაგუს" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართ. ან/ფ **15.50** ჩვენი ფონდი "წმ. ბასილ დიდი, წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. ათანასე დიდი **16.20** კონცერტი **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.00** სიმღერის კვალდაკვალ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **22.25** მოკ.მხ/ფ "**ქვევრი**" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05, 3.30** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუჩეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 1.00** სერ. "**ტატიანა 14.05** სერ. "**ტატიანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**ეკატერინა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**14 იანვრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4198

ევრო — 2.6359

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5254

100 რუსული რუბლი — 3.2075

**ამინდის პროგნოზი 14 იანვრისთვის**






## კალეიდოსკოპი

### დევიდ ბოუი და იმანი ყველაზე მოდურ წყვილად აღიარეს



ამერიკულმა გამოცემამ 11 იანვარს გარდაცვლილი ბრიტანელი მუსიკოსი დევიდ ბოუი და მისი მეუღლე, 1970-იანი წლების ტოპ-მოდელი იმანი, მსოფლიოს ყველაზე მოდურ წყვილად აღიარა.

მასმედიამ წყვილს მიუძღვნა მასალა, რომელსაც მათი 13 საარქივო ფოტოსურათი დაურთო. ძნელია ბოუი შეუსაბამო მოდას, მაგრამ რაც შეეხება მის მეუღლეს, ეს მას შესანიშნავად გამოსდიოდა, ნათქვამია ტექსტში.

დევიდ ბოუი 69 წლის ასაკში ღვიძლის კიბოსგან გარდაიცვალა, რომელიც მას 18 თვის მანძილზე აწუხებდა. გარდაცვალების წინ კი მან თავისი ბოლო სტუდიური ალბომი გამოუშვა.

ბოუი სომალური წარმოშობის მოდელ იმან აბდულმაჯიდზე 1992 წლის აპრილში დაქორწინდა. საქორწინო ცერემონია ფლორენციაში გაიმართა. სასიძომ თავად დაწერა მუსიკა საზეიმო ცერემონიისთვის. იმანმა მეუღლეს გოგონა – ალექსანდრა გაუჩინა, რომელიც ამჟამად 15 წლისაა. მუსიკოსს ასევე ჰყავს ბიჭი, მისი პირველი ქორწინებიდან.

### ძებნილმა დამნაშავემ პოლიციელებს საკუთარი სელფი გაუგზავნა



ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ ლაიმას პოლიციის მიერ ძებნილმა 45 წლის დონალდ პიუმ, მეტსახელად ჩიპმა, სამართალდამცავებს საკუთარი ფოტოსურათი გაუგზავნა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამის მიზეზი გახდა პოლიციის დეპარტამენტის გვერდზე ფეისბუქში განთავსებული მისი მაგშოტი, რომელიც მამაკაცს არ მოეწონა.

– აი, ჩემი, გაცილებით წარმატებული სურათი, წინა სურათი საშინელი იყო, – მიაწერა პოლიციისთვის გაგზავნილ ფოტოს პიუმ.

პოლიციელებმა, თავის მხრივ, ფეისბუქზე გამოაქვეყნეს პოსტი, რომელშიც განათავსეს პიუს როგორც ძველი, ისე ახალი ფოტოსურათი.

– ეს ფოტოსურათი თავად მისტერ პიუმ გამოგვიგზავნა. ჩვენ მას მადლობას მოვახსენებთ დახმარებისთვის, მაგრამ უფრო მეტად მადლიერნი ვიქნებით თუ ის წაყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით განყოფილებაში საკუთარი ფეხით გამოცხადდება, – ნათქვამია პოლიციის განცხადებაში.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლის თქმით, მამაკაცი ერთდროულად რამდენიმე ბრალდებით იძებნება, მათ შორის ვანდალიზმისა და ცეცხლის განზრახ წაკიდებისთვის.

### 84 წლის რუპერტ მერდოკი ცოლს ირთავს



ამერიკელმა მედიამაგნატმა რუპერტ მერდოკმა ხელი სთხოვა 1970-იანი წლების სუპერმოდელსა და მუსიკოს მიკ ჯაგერის ყოფილ მეუღლეს ჯერი ჰოლს. განცხადება ნიშნობის თაობაზე გამოცემა დი თაიმსის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, რომელიც მერდოკს ეკუთვნის.

84 წლის მერდოკმა და 59 წლის ჰოლმა ერთმანეთი გასული წლის ზაფხულის ბოლოს ავსტრალიაში გაიცნეს, ისინი ერთმანეთს ბიზნესმენის ნათესავებმა წარუდგინეს. საზოგადოებაში ერთად კი ისინი 2015 წლის ოქტომბერში გამოჩნდნენ. ნიშნობა ლოს-ანჯელესში გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ მედიამაგნატს ოთხი ქალიშვილი და ორი ვაჟიშვილი ჰყავს სამი სხვადასხვა ქალისგან. ბოლო მათგანს ის 2013 წელს იმის გამო გაშორდა, რომ, მისი აზრით, მეუღლე ყოფილ ბრიტანელ პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერთან ღალატობდა.

თავის მხრივ ჯერი ჰოლმა თითქმის 20 წელი იცხოვრა როკ-მუსიკოს მიკ ჯაგერის გვერდით. წყვილს ოთხი შვილი ეყოლათ, თუმცა ოფიციალურ ქორწინებაში არასოდეს ყოფილან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 20 იანვრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად „მგლის ბილიკი“

**ქართული დეტექტივი. ტომი 1**




## ლევან კობიაშვილი: „გულდასაწყვეტია, რასაც კახა ცხადაძისგან ვისმენთ“

### ნაკრების მწვრთნელებს ხელფასები უმცირდებათ



გუშინ, 13 იანვარს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა 17 და 19 წლამდე ნაკრებების ახალი მწვრთნელები დაამტკიცა.

აღმასკომის გადაწყვეტილებით, 17 წლამდე ნაკრებს ვასილ მაისურაძე, ხოლო 19 წლამდე ნაკრებს გიორგი ყიფიანი გაწვრთნის.

ვასილ მაისურაძემ, რომელიც აქამდე 19 წლამდე ნაკრებს წვრთნიდა, გოჩა ავსაჯანიშვილი შეცვალა, ხოლო მისი ადგილი ყიფიანს დაუთმო.

ყიფიანის გუნდს 24-29 მარტს, სევილიაში ელიტ რაუნდის ჯგუფში დაპირისპირება მასპინძელ ესპანეთთან, ინგლისთან და საბერძნეთთან მოუწევს.

37 წლის ყიფიანი საქართველოში ბოლნისის სიონისა და რუსთავის მეტალურგის მთავარი მწვრთნელი იყო. გარდა ამისა, ზესტაფონში გიორგი ჭიაბრიშვილის ასისტენტად მუშაობდა. შემდეგ ისრაელის პირველი ლიგის გუნდში მთავარი მწვრთნელის ასისტენტად.

19 წლამდე ნაკრების მსგავსად, ელიტ რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა 17 წლამდე ნაკრებმაც.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ვოისის გამარჯვებული გიორგი ნადიბაიძე გახდა




ვოისის მესამე სეზონის გამარჯვებული გიორგი ნადიბაიძე გახდა. ქეთა თოფურიას კონკურსანტმა პირველობა არავის დაუთმო და ხმათა უმრავლესობით გამარჯვებაც მოიპოვა.

ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გიორგი ნადიბაიძე ქეთა თოფურიას გუნდიდან, სალომე დოლიძე ნოდიკო ტატიშვილის გუნდიდან, ვანო ტურაბელიძე ანრი ჯოხაძის გუნდიდან და შოთიკო ტატიშვილი ნუცა შანშიაშვილის გუნდიდან.

სულ ფინალურ შოუში 155.963 ხმა შევიდა და მაყურებლის გადაწყვეტილებით, ხმათა 55 %-ით პროექტის გამარჯვებული გიორგი ნადიბაიძე გახდა. მეორე ადგილზე სალომე დოლიძე გავიდა 31 %-ით, მესამე ადგილზე ვანო ტურაბელიძე 11 %-ით და ბოლო ადგილზე შოთი ტატიშვილი 3 %-ით.

როგორც მოსალოდნელი იყო, გიორგის გამარჯვებას საზოგადოების მხრიდან აზრთა სხვადას-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## იუმორი



გოგონა ბიჭს ეუბნება:

– როგორ ცივა, ლამის გავიყინო.

– გამათბობელი ჩართე, – ეუბნება ბიჭი.

– საერთოდ, ეს პატარა მინიშნება იყო.

– გავიგე, სულელი არ ვარ, გინდა, რომ გამათბობელი მე ჩავრთო.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– შენ და შენი მეუღლე, სულ რომ ჩხუბობდით, როგორ მოაგვარეთ ურთიერთობა?

– მე ელექტროშოკერი მიყიდა, თავისთვის კი გაზის პისტოლეტი. ჰოდა, უკვე ნახევარი წელია აღარ გვიჩხუბია.

●●●

მამაკაცი ექიმს მიმართავს:

– ექიმო, ამ ბოლო დროს ძალიან ვნერვიულობ და იქნებ დამეხმარო?

– რაშია საქმე?

– ყოველ საღამოს ცხვარს ვითვლი და მერე ვიძინებ.

– ეს კარგია.

– რა არის კარგი, ყოველ დილით ერთი ან ორი ცხვარი მაკლდება.

– ???

– მეცხვარე ვარ, მეცხვარე.

●●●

კაცი კაფეში ზის. ამ დროს მეორე მამაკაცი შემოვარდება და დაუყვირებს:

– გივი, რას ზიხარ, გარეთ შენს ცოლს აუპატიურებენ.

კაცი გარეთ გავარდება, მანქანა დაეჯახება და საავადმყოფოში გონზე მოსული ფიქრობს: „ნერვები სამკურნალო მაქვს, მე ხომ გივი არ მქვია და არც ცოლი მყავს.“

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. ჰოლივუდის ზანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 4. ბალნეოლოგიური კურორტი გურჯაანის რაიონში; 6. სტუმრების მისაღებად დანიშნული კვირის ესა თუ ის დღე ძველად; 9. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 13. აეროპორტი რომში; 14. ნოდარ დუმბაძის რომან „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 15. წყლით სამკურნალო აბაზანა; 17. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 18. უსქესო, ვეგეტატიური გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 20. ლუდის გამონახარში, დანალექი.

**თარაზულად:** 1. ჟურნალ „ფლეიბოის“ დამფუძნებელი; 5. კათოლიკური ჯვარი; 7. ერთ-ერთი პირველი ქართული როკ-ანსამბლი; 8. ჩინური, მაგიდის ლოგიკური სათამაშო; 10. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 11. ლითონის დასამუშავებელი, მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 12. თხელი ფურცლოვანი რკინა; 16. ნიადაგის ზედა, ნოყიერი ფენა; 17. საბრძოლო მანქანა; 19. არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 21. პენალტი ჰოკეიში; 22. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 23. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 24. დამატებითი ჯილდო, პრემია.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი